

თბილისის  
ვანო  
სარაჯიშვილის  
სახელობის  
სახელმწიფო  
კონსერვატორიის  
ტრადიციული  
მრავალხმიანობის  
კვლევის  
საერთაშორისო  
ცენტრის  
ბიულეტენი

თბილისი, ივნისი, 2020

№28

*ახალი ამბები*

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

*ეთნოფორები ნელ-ნელა გვტოვებენ!*

ანდრო პაპა

*ერთი გამოცემის შესახებ*

საკრავების კატალოგი

*ახალი ტრადიციული ანსამბლი*

კვარტეტი „რანინა“

*ქართული სიმღერის უცხოელი შემსრულებლები*

ნათების საოჯახო ანსამბლი კანადიდან

*ქართული სიმღერის მოამაგეები*

ავქსენტი მეგრელიძე

ილიაუნის ხალხური სიმღერის სტუდენტური გუნდი

*უცხოური მრავალხმიანობა*

კატაჯაქი — ინუიტების ხორხისმიერი მღერა

*ერთი რეგიონული ანსამბლი*

ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „იაგუნდი“ აჭარიდან

*ტრადიციული საკრავები*

საქართველოში გავრცელებული დასარტყამი საკრავები

*ეთნოგრაფიული წერილები*

შრომის სიმღერები გურიაში (ნაწილი III)

აგუნა

## ახალი ამბები

### საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

(იანვარი-ივნისი, 2020)

#### ლექციები, სემინარები, შეხვედრები, მასტერ-კლასები, პრეზენტაციები და სხვ.

**20.01.2020** — საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეორე კორპუსში ფოლკლორის დარბაზი გაიხსნა.

**28.01.2020** — სტრასბურგში, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე სამტომეულის — „საქართველო, ისტორია, კულტურა, ეთნოგრაფია“ პრეზენტაცია გაიმართა (კრებულის სარედაქციო ჯგუფის ხელმძღვანელი: ანზორ ერქომაიშვილი). პრეზენტაციაში მონაწილეობა მიიღო ანსამბლმა „რუსთავი“.

**24.02.2020** — საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში დოკუმენტური ფილმის — „ჯვარიონის“ ჩვენება გაიმართა, რომელიც თუმ-ხევსურთა აღდგენილ ტრადიციას ეძღვნება.

**18.03.2020** — გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტში ონლაინ ღია კარის დღე ჩატარდა.

**30.03.2020** — საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა წამოიწყო სოციალური კამპანია სახელწოდებით „ფოლკლორი შენთვის“. კამპანია მოწოდება „დარჩი სახლშის“ ფარგლებში გულისხმობდა მომღერალი ოჯახების მიერ ერთმანეთის სიმღერით გამოწვევას და ვიდეოების სოციალურ ქსელში განთავსებას.

**04.04.2020** — გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტმა წამოიწყო სოციალური კამპანია ფეისბუქში — „გავრცელე ხალხური სიმღერა და არა ვირუსი“.

**10.04.2020** — ანსამბლმა „შავნაზადა“ და საქართველოს ტელევიზიის პირველმა არხმა

გაავრცელეს მრავალხმიანი მუსიკალური გზავნილი — მიმართვა მსოფლიოს — „შენ მართო არ ხარ“. გზავნილი მსოფლიოს 40 ენაზეა წარმოდგენილი. ვიდეოში „მრავალჟამიერს“ ანსამბლ „შავნაზადასთან“ ერთად პირველი არხის თანამშრომლებიც ასრულებენ.

**01.05.2020-18.05.2020** — ხელოვნების სასახლის ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმმა მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით წამოიწყო სოციალური კამპანია სახელწოდებით „ააჟღერე ექსპონატი“. კამპანიის ფარგლებში მუზეუმის ფეისბუქის გვრდზე აიტვირთა 11 ვიდეო, სადაც შემსრულებლები გვიყვებოდნენ ამა თუ იმ საკრავის ისტორიას და აჟღერებდნენ მათ.

**12.06.2020** — გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტმა გამართა სტუდენტთა სამეცნიერო სემინარი თემაზე „ქრისტიანული თეოლოგიისა და მუსიკოლოგიის საკითხები“, რომელიც მიემდგნა ცნობილი ქართველი მუსიკოლოგის, პროფესორ მანანა ანდრიაძის ხსოვნას.

**16.06.2020** — ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დავაბზუმში გაიმართა მგალობელ-მომღერალთა ტრიო „ხელხვავის“ პირველი აუდიოალბომის პრეზენტაცია.

ეთნომუსიკოლოგმა ნინო ნანეიშვილმა ZOOM პლატფორმის საშუალებით ჩაატარა ონლაინ მასტერკლასები შემდეგ თემებზე:

**09.05.2020-10.05.2020** — ქართული ნაწები

**16.05.2020-17.05.2020** — ქართული საქორწილო რიტუალები, ტრადიციები და სიმღერები

**23.05.2020-24.05.2020** — ამინდის მართვის რიტუალები და სიმღერები

**30.05.2020-31.05.2020** — მზესთან დაკავშირებული რიტუალები და ცეკვები, სიმბოლოები, სიმღერები

**06.06.2020-07.06.2020** — შრომის სიმღერები და რიტუალები

**13.06.2020-14.06.2020** — საეკლესიო საგალობლები

**20.06.2020-21.06.2020** — ქალაქური სიმღერები

**27.06.2020-28.06.2020** — შობის ტრადიციები. საეკლესიო საგალობლები და ხალხური სიმღერები

**17.05.2020** — განხორციელდა ანსამბლ „იალონისა“ და ჩეხი მწერალ-დიზაინერის ადელა სოუჩკოვას ერთობლივი ინსტალაცია „საკრალური ტექნოლოგია“.

### **გასტროლები**

**09.01.2020** — ანსამბლმა „გორდა“ ლიეტუვის ნაციონალურ ფილარმონიაში სოლო კონცერტი გამართა. კონცერტი XVI საერთაშორისო ფესტივალის „მართლმადიდებლური შობა ლიეტუვაში“ ფარგლებში ჩატარდა.

**10.01.2020-17.01.2020** — ქედის მუნიციპალიტეტის ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ელესა“ იმყოფებოდა უკრაინის ქალაქ კრემენეცში ქალაქის მერის, ალექსეი კოვალჩუკის ოფიციალური მიწვევით. ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ტრადიციებისა და ეროვნული ადათ-წესების გაცვლის ფესტივალში.

**29.01.2020-06.02.2020** — მგალობელ-მომღერალთა გუნდი „სათანაო“ ორგანიზაცია „ასოციაცია დრაჰიმის“ მიწვევით იმყოფებოდა ისრაელში. ტურნეს ფარგლებში განხორციელდა ორი ძირითადი მუსიკალური პროექტი: ოთხი ვორქშოპი გალილეაში და თითო კონცერტი ხაიფასა და თელავივში.

**30.01.2020** — ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი „ბასიანი“ ახალი პროექტით „ჩელა“ იმყოფებოდა ბერლინში. პროექტი განხორციელდა ელექტრონული მუსიკის შემსრულებელ Beste Aydın-თან ერთად სპეციალურად 2020 წლის CTM ფესტივალისათვის.

**13.02.2020-17.02.2020** — ანსამბლი „მე რუსთველი“ იმყოფებოდა ლიეტუვაში, ქალაქ პანევეჟისში ლიეტუვის დამოუკიდებლობის აღდგენის დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. ანსამბლმა ლიეტუვაში ორი სოლო კონცერტი გამართა.

### **კონცერტები, საღამოები, გამოფენები, იუბილეები**

**10.01.2020** — თელავის თეატრში ანსამბლ „პატარა კახის“ კონცერტი გაიმართა.

**12.01.2020** — პირველი რესპუბლიკის მოედანზე საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში თბილისური ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი გაიმართა.

**17.01.2020** — ხელოვნების სასახლის ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გამოფენა „ხალხური საკრავები მინიატიურულ ხელოვნებაში“ გაიხსნა.

**26.01.2020** — ხელოვნების სასახლის ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმში პროექტ „მომღერალი საქართველოს“ ფარგლებში მეგრული ხალხური მუსიკის საღამო გაიმართა.

**26.01.2020** — ფლორენციის წმ. ნინოს ტაძართან არსებულმა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა „ნანილა“ ქალაქ კრემაში, თეატრ „San Domenico“-ში სოლო კონცერტი გამართა.

**28.01.2020** — საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში გალობის უნივერსიტეტის ქალთა სახელოსნოს (ხელმძღვანელი ტატიანა მეგრელიძე) წარმოდგენა-პრეზენტაცია „უცხო ქვეყნების საშობაო ტრადიციები“ გაიმართა.

**02.02.2020** — მცხეთის დავით გამრეკელის სახელობის ხელოვნების სკოლის დარბაზში წმ. ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძე) ხსენების დღისადმი მიძღვნილი საეკლესიო გალობის საღამო გაიმართა.

**02.02.2020** — ამბროლაურის კულტურის ცენტრში საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ამბროლაურის სალოტბარო სკოლის მოსწავლეებმა წმ. ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძე) ხსენების დღესთან დაკავშირებით კონცერტი გამართეს.

**12.02.2020** — ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბაზში ილიაუნის ხალხური სიმღერის სტუდენტური გუნდის მე-16 საანგარიშო კონცერტი გაიმართა.

26.02.2020 — თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში აუდიოალბომის „აღმოაჩინე საქართველო ტრადიციული მუსიკით“ წარდგენა და კონცერტი გაიმართა. საღამოში მონაწილეობდნენ ფოლკლორული ანსამბლები: „ადილეი“, „ანჩისხატი“, „დიდგორი“, „კონსერვატორიის ანსამბლი“, „პატარა კახი“, „სახიობა“ და სოლო შემსრულებლები.

28.02.2020 — ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრის დარბაზში ანსამბლ „რეხეულის“ საანგარიშო კონცერტი გაიმართა.

19.03.2020 — ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლმა „ბასიანი“ საკუთარ ფეისბუქის გვერდზე პირდაპირი ეთერის საშუალებით ონლაინ სოლო კონცერტი გამართა.

**გამოცემები**


ფონდმა „ქართული გალობა“ გამოსცა ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმის საკრავების კატალოგი.



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა ტრიო „ხელხვაის“ პირველი აუდიოალბომი.



ანსამბლმა „შაენაბადა“ გამოსცა ნოტირებული და სათითაო ხმაში ჩაწერილი საგალობლების სასწავლო კრებული სააღდგომო საგალობლები.



მოამზადა სოფიკო კოტრიკაძემ

## ანდრო პაპა

რამდენიმე თვის წინ, 2019 წლის დეკემბერში გარდაიცვალა ქართული ხალხური სიმღერის დიდოსტატი, კახური სიმღერის ნამდვილი მოამაგე, ყველასთვის ცნობილი და საყვარელი ეთნოფორი — ანდრო სიმაშვილი. საბედნიეროდ, მის საქმეს ჰყავს ღირსეული გამგრძელებლები, რომლებიც დავიწყებას არასოდეს მისცემენ ანდრო პაპას დანატოვარს... მათ შორის არიან ძმები ბექა და გოჩა ბიძინაშვილები, რომლებიც ერთგულად ემსახურებიან ქართლ-კახურ მუსიკალურ ფოლკლორს და ამით ღირსეულად აგრძელებენ დიდი მასწავლებლის ტრადიციებს. ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება ბექა ბიძინაშვილის მოგონება, რომელიც სერიოზულ მომღერლად ანდრო პაპას ხელში ჩამოყალიბდა და სიცოცხლის ბოლო დღემდე მის გვერდით იყო...

ანდრო პაპა პირველად სატელევიზიო გადაცემაში ვნახე, მაშინ პატარა ვიყავი და ჯერ ხალხურ სიმღერას არ ვმღეროდი. შეხვედრა იყო ძველ მომღერლებთან, დედამ დაგვიძახა: „ნახეთ, ძალიან დიდი ადამიანები არიანო“. დამამახსოვრდა ბატონი ანზორ ერქომაიშვილი, ლევან აბაშიძე (შემდგომში ჩემი ხალხური სიმღერის პირველი მასწავლებელი) და ანდრო სიმაშვილი. მაშინ ვერც ვიფიქრებდი, რომ რამდენიმე წლის მერე ისინი გახდებოდნენ ჩემი უახლოესი ადამიანები და დიდი მასწავლებლები და ცხოვრება ასე მჭიდროდ დამაკავშირებდა მათთან.

1999 წლიდან სიმღერა დავიწყე თელავის ბიჭუნათა ფოლკლორულ ანსამბლ „პატარა კახში“, ლევან აბაშიძის ხელმძღვანელობით (მასზე მომავალში აუცილებლად დავწერ მოგონებას), 2001 წლიდან, პარალელურად, ვგალობდი ალავერდის მგალობელთა გუნდ-

ში, სადაც 2002 წლიდან ანდრო პაპა გვასწავლიდა სიმღერას. ხალხური სიმღერა ჩემთვის თავიდანვე უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე, უბრალოდ მუსიკა. სიმღერის კარგად შესრულება არ იყო თვითმიზანი, პირიქით, სწორედ ამის შემდეგ იწყებოდა რაღაც მნიშვნელოვანი, რასაც მაშინ ჯერ ვერ ვაცნობიერებდი. შემდგომში სწორედ ანდრო პაპასნაირ ადამიანებთან ურთიერთობამ მიმახვედრა, რომ სიმღერა ცხოვრების წესია; ეს არის ურთიერთობის უმაღლესი ფორმა და დიდი სიყვარულის, სიხარულის, იმედისა და მხნეობის წყარო.



ანდრო სიმაშვილი

მე, რა თქმა უნდა, თავიდანვე ვერ ჩავწვდი ანდრო პაპას უდიდეს პიროვნებას. მეცადინეობისას, ხშირ შემთხვევაში, მისი მიდგომები თითქოს არც იყო ჩემთვის მისაღები, რადგან იგი სულ სხვა პრინციპით გვამეცადინებდა, ვიდრე მანამდე ვიცოდი. ეს ყველაფერი ნელ-ნელა გახდა ჩემთვის გასაგები და მხოლოდ ახლა ვხვდები, რომ მისი მიდგომა იყო ძალიან სწორი და ბუნებრივი, ვხვდები, თუ როგორ გადაეცემოდა ძველად სიმღერა თაობიდან თაობას. ახლა ვაცნობიერებ, თუ რა დიდი ადამიანი დადიოდა ჩვენ შორის ასე თავმდაბლად და რამხელა სიყვარულს დაატარებდა თავისი ქვეყნის, წინაპრების, ტრადიციებისა და უშუალოდ ხალხური სიმღერისა.



თამამად მინდა ვთქვა, რომ სწორედ ანდრო პაპას დამსახურებაა, რომ ჩემი ცხოვრება დავუკავშირე ქართულ სიმღერა-გალობას. მან უთქმელად, პირადი მაგალითით დამანახა ამ საქმის უდიდესი მნიშვნელობა და ამისთვის ყოველთვის მისი მაღლიერი ვიქნები.

2011 წლიდან, მას შემდეგ, რაც თბილისში სწავლა დავამთავრე და კახეთში დავბრუნდი, ფაქტობრივად, გვერდიდან არ მოვშორებივარ. ამ წლების მანძილზე კარგად მახსოვს მისი იუბილეები, სადაც თავის მამიდა-შვილთან, ლილი სიმაშვილთან, ძმისშვილ გივი სიმაშვილთან და სხვა ნათესავებთან ერთად ჩემს წინ ცოცხლდებოდა სიმაშვილების უნიკალური საოჯახო მუსიკალური ტრადიციები.

ანდრო პაპას ძალიან უყვარდა საინტერესო ამბების მოყოლა. გვეჩვენებოდა, რომ ზოგჯერ ზედმეტიც კი მოსდიოდა, გვიჭირდა ერთი და იმავე ამბის რამდენჯერმე მოსმენა, თუმცა, ახლა ვხვდები, რომ ხშირად ამბავს, განსაკუთრებით, რაც სიმღერას შეეხებოდა, სხვადასხვა კუთხით გვიყვებოდა და ყოველთვის რაღაც ახალს და მნიშვნელოვანს ამატებდა, რაც ჩემს ცოდნას უფრო მეტად აღრმავებდა. ამავე პრინციპით ხდებოდა სიმღერის შესწავლაც, აქედან გამომდინარე, მისი ნასწავლი სიმღერების უმეტესობის რამდენიმე ვარიანტი ვიცი.

იგი ფლობდა ხალხური სიმღერის მეტად საინტერესო საიდუმლოებებსა და დიდ საშემსრულებლო მრავალფეროვანებას, იყო საოცარი იმპროვიზატორი, თუმცა ამ ნიჭს იშვიათად იყენებდა. როდესაც გემღერებოდა, ცდილობდა ისე წაეყვანა შესრულება, რომ შენ დაგხმარებოდა და თავი კარგად გეგრძნო... სწორედ ასეთი იყო ცხოვრებაშიც. ერთხელ, როდესაც „ართანულ ალილოს“ ვმღეროდი, მეორე მუხლიდან დავიწყე გამშვენება და უფრო და უფრო ჩავახვიე. რაც მეტად ვახვევდი, ისიც მეტად ამშვენებდა. მესამე მუხლში დიდ აზარტში შევედით, ვგრძნობდი, რომ მი-

თმობდა და მომყვებოდა, ყველაზე მეტად სწორედ მაშინ ვიგრძენი მისი იმპროვიზაციის უნარი, ისეთი ჩახვევები გააკეთა, მანამდე რომ არ მომესმინა და სიმღერას რაღაც საოცრად ამაღლებული ხასიათი შესძინა. რომ დავამთავრეთ, თქვა: „ეს არის ნამდვილი ჩახვეული ნამღერიო“.

ანდრო სიმაშვილი უზომოდ თავმდაბალი, უბრალო, უპრეტენზიო, საოცრად მიმტევებელი, შინაგანად სუფთა, ღრმად მორწმუნე ადამიანი გახლდათ. უყვარდა ეკლესია, დიდ პატივს სცემდა პატრიარქს. ბოლო წლებში რამდენჯერმე ეზიარა და ჩემ თვალწინ ზიარების შემდეგ, როდესაც აღარ გვქონდა მისი ადგომის იმედი, ფეხზე წამოდგა მანამდე ლოგინად ჩავარდნილი და იმღერა! მას უზომოდ უყვარდა სიცოცხლე, იყო საოცრად პრინციპული და მებრძოლი სულის ადამიანი. გამორჩეულად უყვარდა, პატივს სცემდა, სჯეროდა და საოცრად ერთგული იყო ბატონი ანზორ ერქომაიშვილისა. დიდად აფასებდა მის ამავს და ეს ჩემთვისაც გაკვეთილი იყო.

კარგად მახსოვს, ანდრო პაპას 95 წლის იუბილე თელავში, მისი შვილის, ელიზბარის სახლში გადაუხადეს. იქ იყო მისი შვილი ავთოც, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად და მოთმინებით უვლიდა. ანდრო პაპა, როგორც ყოველთვის, აქაც თვითონ იყო თამადა. სვამდა ცოტას, ზომიერად. სხვებთან ერთად იქ იყო მასთან შეზრდილი, ბოლო წლების პარტნიორი, შესანიშნავი პირველი ხმა, 89 წლის უმანგი შარვაშიძე. არასდროს დამავიწყდება მათი შესრულებული „გრძელი კახური მრავალჟამიერი“, რომელიც იმ დღეს საოცრად, სულ სხვანაირი განცდით შეასრულეს... ეს იყო მისი ბოლო დაბადების დღე, რომელიც ერთად აღვნიშნეთ.

ანდრო პაპა იყო, როგორც შესანიშნავი მომღერალი და ლოტბარი, ასევე — გამორჩეული თამადა და ქართული სუფრის ტრადიციის დიდი მცოდნე. მან ჩვენამდე მოიტანა და ცოცხლად გადმოგვცა თავისი წინაპრების უდ-

იდესი კულტურა და ტრადიციები. სწორედ სიმაშვილების საგვარეულომ შემოგვინახა თავად ყარალაშვილების სასიმღერო სტილი და მანერა. იგი უდიდეს პატივს სცემდა და დიდი მადლიერებით იხსენებდა ყარალაშვილების ამაგს თავის პაპა-ბიძებზე. ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი ფაქიზი დამოკიდებულება თავის პაპასთან და ოჯახის სხვა წევრებთან.



ანდრო სიმაშვილი, ბექა ბიძინაშვილი და ანსამბლი „შილდა“

ანდრო პაპასთან თითქმის ოცი წელი გავატარე, მისგან ბევრი რამე ვისწავლე და ვფიქრობ, რომ მან პირნათლად შეასრულა თავისი მისია, ცოცხლად გადმოგვცა ართანის სასიმღერო ტრადიცია და ვალმოხდილი წავიდა იმქვეყნად.

მინდა დიდი მადლიერებით მოვიხსენიო ქალბატონ ნანა გოთუასა და ბატონ ვანო ჩხარტიშვილის ამაგი ანდრო პაპაზე. ბოლო წლებში, სწორედ მათი თანადგომით ახერხებდა ანდრო პაპა რეპეტიციებზე ართანიდან თელავში ჩამოსვლას, რასაც თვითონაც ყოველთვის მადლიერებით აღნიშნავდა.

წლების წინ გვითხრა: „შვილო, თქვენ თუ ართანაში ოდესმე ხალხურ სიმღერას გააცოცხლებთ, მე არასოდეს მოვკვდებიო“. მისი სახით ჩვენგან წავიდა უდიდესი მოჭირნახულე ქართლ-კახური სიმღერისა. გულწრფე-

ლად ვამბობ: არ მეგონა თუ ასე დამაკლდებოდა და განვიცდიდი მის წასვლას. რაც დრო გადის, უფრო მეტად განვიცდი, რომ გვერდში აღარ მყავს დიდი გულშემატკივარი, ადამიანი, რომელსაც ხალხური სიმღერა „ჩემზე მეტად უყვარდა“. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „სიმღერები არ დაივიწყოთო.“ სწორედ მისი ასეთი თავგანწირული სიყვარული და ამაგი გვაძლევს ახალგაზრდებს იმის ძალას, რომ უფრო მეტად დავიხარჯოთ და შეძლებისდაგვარად სწორად და ღირსეულად ვემსახუროთ ამ საქმეს.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო თელავის მუნიციპალიტეტს, კულტურის სამსახურსა და კულტურის ცენტრს, რომელთა ინიციატივით 2019 წლის ზაფხულში თელავში გაიხსნა ანდრო სიმაშვილის ვარსკვლავი და 2020 წლის იანვრიდან ანდრო პაპას მშობლიურ სოფელ ართანაში შეიქმნა ბავშვთა ფოლკლორული წრე, სადაც გაიზრდება მომავალი თაობა და ღირსეულად გააგრძელებს ანდრო პაპას დიდი ძალისხმევით ჩვენამდე მოტანილ, ართანის უმდიდრეს სასიმღერო მემკვიდრეობას.

*ერთი გამოცემის შესახებ*

## საკრავების კატალოგი

საკრავების კატალოგი ხელოვნების სასახლის ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმისა და ფონდ „ქართული გალობის“ ახალი ერთობლივი გამოცემაა. ეს გახლავთ ორენოვანი წიგნი, რომელიც ქართველი და უცხოელი სპეციალისტების ერთობლივი ძალისხმევით მომზადდა. წიგნი შედგება ორი ნაწილისაგან, რომლის პირველი მონაკვეთი ფოტოალბომია, ხოლო მეორე ნაწილი — უშუალოდ კატალოგს წარმოადგენს.

ფოტოალბომში თქვენ შეხვდებით 153 საკრავის 370-ზე მეტ ფოტოს. ალბომში, შემ-

ლებისდაგვარად, შევეცადეთ მუზეუმში დაცული ყველა სახეობის, ჯგუფისა თუ ქვეჯგუფის საკრავი წარმოგვედგინა, თუმცა, გამოცემის ფორმატიდან გამომდინარე, ყველა საკრავის შეტანა, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა. საკრავების კლასიფიკაციისას ვიხელმძღვანელებთ ცნობილი ეთნომუსიკოლოგების — ორგანოლოგების — ერის ფონ ჰორნბოსტელისა და კურტ ზაქსის კლასიფიკაციის მიხედვით: შესაბამისად, საკრავები შემდეგ ჯგუფებად დაიყო: იდიოფონები (თვითმქდერი საკრავები); მემბრანოფონები (მემბრანის საკრავები); ქორდოფონები (სიმებიანი საკრავები) და აეროფონები (ჩასაბერი, ჰაერის ჭავლით ასაქდერებელი საკრავები); ცალკე ჯგუფი შეადგინა მექანიკური საკრავების კოლექციამ.



გამოცემის მეორე ნაწილი უშუალოდ კატალოგს წარმოადგენს, რომელშიც მოცემულია ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმში დაცული ყველა საკრავის (სულ 286 ერთეული) მონაცემები, ესენია: რიგითი ნომერი, საკრავის სარეგისტრაციო ნომერი, ოსტატის ვინაობა, საკრავის შექმნის თარიღი, შექმნის ადგილი, მასალა, ზომები და ექსპონატის ამჟამინდელი მდგომარეობა. დაინტერესებულ მკითხველს საშუალება აქვს ფოტოალბომში წარმოდგენილი საკრავის ფო-

ტოს გვერდით ფრჩხილებში მითითებული კატალოგის ნომრის მიხედვით გამოცემის მეორე ნაწილში სრულყოფილი ინფორმაცია იხილოს ამა თუ იმ საკრავის შესახებ.

წიგნში წარმოდგენილია, როგორც ქართული, ისე აღმოსავლური და ევროპული საკრავები. ქართული საკრავების ფონდიდან აქ შეხვდებით სალამურს, ლარჭემს, სოინარს, ბუკს, პილილს, დოლს, დაირს, ჭიანურს, ჩანგს, ჩონგურს, ფანდურს... აღსანიშნავია, რომ მათ შორისაა დიპლიპიტო ილია ჭავჭავაძის ოჯახიდან, ხოლო ჩონგური — აკაკი ხორავას პირადი კოლექციიდან. მუზეუმში მრავლადაა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების საკრავებიც: ზარბი, შოფარი, საზი, თარი, ქამანჩა, უდი, ზურნა, დუდუკი და სხვ. ევროპული საკრავების ფონდიდან გამოცემაში წარმოდგენილია პორტატული ფორტეპიანო, პიანოლა, ფისჰარმონიები, რუსული ბალალაიკები, იტალიური და რუსული მანდოლინები, აგრეთვე მექანიკური საკრავების კოლექცია — ორკესტრიონები (მუსიკალური კარადები), მუსიკალური ზარდახშები და არღნის სახეობები.

მსგავსი ტიპის გამოცემა საქართველოში პირველია. ვფიქრობთ, რომ ეს წიგნი მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება მკვლევრებისა და შემსრულებლებისათვის, ტრადიციული მუსიკით, მუზეუმებით დაინტერესებული ადამიანებისათვის. აქ თავმოყრილი მასალა კი ხელს შეუწყობს ქართული და საქართველოში გავრცელებული საკრავებისა და საკრავიერი მუსიკის პოპულარიზაციას და დაეხმარება ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმის კოლექციების სამეცნიერო მიმოქცევაში ჩართვას.

**სოფიკო კოტრიკაძე**  
კატალოგის შემდგენელი,  
ხელოვნების სასახლის ქართული  
ხალხური სიმღერისა და საკრავების  
მუზეუმის თანამშრომელი



## კვარტეტი „რანინა“

*კვარტეტმა „რანინა“ არსებობის 2 წლის მანძილზე უკვე მოასწრო მსმენელის ყურადღების დამსახურება და სიყვარულის მოპოვება. როგორ მოახერხა ეს, კვარტეტის ლიდერი, სოსო კოპალეიშვილი გვესაუბრება.*

**მ.ხ.** — რამ გადაგაწყვეტინათ ასეთი ტიპის ანსამბლის ჩამოყალიბება?

**ს.კ.** — უპირველესად, მოგესალმებით და მადლობას მოგახსენებთ ჩვენი დაინტერესებისათვის.

ჩვენი ერთ კოლექტივად ჩამოყალიბების მიზეზი შეიძლება ტრივიალურად ჟღერდეს, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ ესაა ქართული ტრადიციული მუსიკის და, ზოგადად, გემოვნებიანი მუსიკის უდიდესი სიყვარული და პოპულარიზაციის სურვილი. როგორც ჩანს, ეს აზრი ცალ-ცალკე დიდი ხნის მანძილზე გვამომრავებდა ყველას და საბოლოოდ განგებამ ერთმანეთთან დაგვაკავშირა. ჩვენი შთაგონების წყარო იყო და არის ქართული ტრადიციული მუსიკა და ამერიკული barbershop quartet-ის სტილი. ამიტომაც „რანინას“ რეპერტუარიც და საშემსრულებლო სტილიც მრავალფეროვანია მოიცავს, როგორც ქართული ხალხური სიმღერებისა და საგალობლების ნიმუშებს, ასევე ქართულ ქალაქურ ფოლკლორს, საესტრადო სიმღერებს რეტროს სტილში და ჯაზურ კომპოზიციებს.

**მ.ხ.** — როდის და როგორ დაიწყო ყველაფერი?

**ს.კ.** — ვიდრე ანსამბლად გავერთიანდებოდით, ვმონაწილეობდით სხვადასხვა ღონისძიებაში, რამაც წარმოშვა სურვილი ერთ ჯგუფად ჩამოყალიბებისა და მაღალი საშემსრულებლო სტანდარტის დამკვიდრებისა. ასე შეიქმნა კვარტეტი „რანინა“ 2018 წლის დასაწყისში. თავდაპირველად — სხვა

შემადგენლობით, თუმცა, ახლა უკვე — სტაბილურად დაკომპლექტებული. ამ 2 წლის მანძილზე თითქმის ყოველდღიურად ვხვდებით ერთმანეთს, ვაფართოვებთ და ვხვეწთ ჩვენს რეპერტუარს და ხშირად ვმონაწილეობთ კონცერტებში, სალონურ საღამოებში, სატელევიზიო და რადიო გადაცემებში, დავდივართ საგასტროლოდ, რამაც ჩვენს ახალგაზრდა კვარტეტს უკვე მოუტანა აღიარება.

**მ.ხ.** — ანსამბლის სახელწოდება ქართულ ტრადიციულ მუსიკაში ფართოდ გავრცელებული გლოსოლალიაა. რას იტყვით ამის შესახებ?

**ს.კ.** — სახელწოდება „რანინას“ ავტორია ცნობილი მომღერალი, ანსამბლ „შვიდკაცას“ წევრი ნიკოლოზ კირვალიძე. გვინდოდა, ჩვენს სახელს გაემართლებინა ჩვენი საქმიანობა და, ამასთანავე, მარტივი გამოსათქმელი ყოფილიყო. რატომღაც ვფიქრობთ, ქართულ სამღერისებს შორის „რანინა“ ყველაზე კარგად გამოხატავს ჩვენი ანსამბლის ხასიათს და ამიტომაც ძალიან მოგვწონს ეს სახელი.



კვარტეტი „რანინა“

**მ.ხ.** — გაგვაცანით ანსამბლის წევრები. რა ასაკის და პროფესიის ადამიანები ხართ გაერთიანებული?

**ს.კ.** — კვარტეტ „რანინას“ წევრები ფოლკლორული საზოგადოებისათვის უცხოები არ არიან. ჩვენი საშუალო ასაკი 25-35 წელია. ყველას გვაერთიანებს ქართულ ტრადიციულ მუსიკასთან მჭიდრო კავშირი, რაც ბავშვობიდან მოგვეყვება და რამაც ჩვენი პროფესიული ინტერესები განაპირობა.

ანსამბლში პირველი ხმა **თორნიკე კანდელაკია**. ის 29 წლისაა. თორნიკე განათლებით საეკლესიო მუსიკის ბაკალავრია. მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა, უკვე საკმაო გამოცდილება აქვს ხალხური გუნდის ლოტბარობისა და საეკლესიო გუნდის რეგენტობისა. მეორე ხმა თქვენი მონა-მორჩილი, სოსო კოპალეიშვილი გახლავართ, ანსამბლის ყველაზე უფროსი წევრი, თეოლოგი, საეკლესიო მუსიკის ბაკალავრი, ხალხური გუნდის ლოტბარი და საეკლესიო გუნდის რეგენტი, მენეჯერი.

კვარტეტის ყველაზე ახალგაზრდა წევრი, საბა ფეიქრიშვილი 26 წლისაა, ის არაჩვეულებრივი ბარიტონია, პროფესიით კი ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გუნდის ლოტბარი და დირიჟორი გახლავთ.

ჩვენი ბანი ბექა კემულარიაა. ის პროფესიით კულტურის მენეჯერია; შესაბამისად, ანსამბლში მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებსაც აგვარებს.

**მ.ხ.** — სტილური მრავალფეროვნების პირობებში რას ანიჭებთ უპირატესობას რეპერტუარის შერჩევისას?

**ს.კ.** — პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ გვიზიდავს როგორც ძველი, ავთენტიკური, ისე ახალი, თანამედროვე სიმღერებიც. ეს განაპირობებს „რანინას“ მრავალგვარობას. ქართული ხალხური სიმღერის, საეკლესიო გალობისა და ქალაქური მუსიკის ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი ნიმუშების გარდა, ჩვენს რეპერტუარში თანამედროვე საკომპო-

ზიტორო ნიმუშებიც გვაქვს. ასევე, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ამერიკული barbershop quartet-ის სტილის სიმღერებსაც ვასრულებთ, თუმცა, აქაც, ვცდილობთ, გემოვნებიანი და უფრო მეტად პოლიფონიურად განვითარებული სიმღერები შევთავაზოთ მსმენელს, ხშირად საკუთარი ინტერპრეტაციით.

**მ.ხ.** — როგორც ვიცი, თქვენ აქამდე არაერთი ფოლკლორული ანსამბლის წევრი იყავით. იქონია თუ არა ამან გავლენა ანსამბლის ძირითად მიმართულებაზე?

**ს.კ.** — კი, ნამდვილად ასეა, სხვადასხვა დროს თითოეული ჩვენგანი არაერთი ანსამბლის წევრი იყო და ზოგი ახლაც ვართ. ეს ანსამბლებია: „სახიობა“, „ერისიონი“, „დიდგორი“, „ვარაზი“, „აღსავალი“, „ლაშარელა“, „ერთობა“, „მძლევალი“, „ოდოია“, მ. ბალანჩივაძის სახელმწიფო კაპელა და სხვა. ცხადია, ამგვარ ანსამბლებში გატარებულმა წლებმა დიდი გამოცდილება შეგვძინა და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თითოეული ჩვენგანის პროფესიულ დაოსტატებაში.

**მ.ხ.** — რას გვეტყვით ანსამბლის შემოქმედებითი ცხოვრების შესახებ?

**ს.კ.** — „რანინა“ ამ 2 წლის განმავლობაში, როგორც მოგახსენეთ, აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა. ძალიან ხშირად ვიკრიბებით და საათობით ვმეცადინეობთ, როგორც უშუალოდ, ისე — დისტანციურად. ამ მოკლე დროში ჩავატარეთ საკმაოდ ბევრი კონცერტი, როგორც პრივატული, ისე — ფართო საზოგადოებისათვის, საქართველოშიც და უცხოეთშიც, კომერციულიც და საქველმოქმედოც. ეს უკანასკნელი განსაკუთრებულ სიხარულს გვანიჭებს, რადგან მოხუცებულთა თავშესაფარში თუ პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარებული შეხვედრებით და მცირე კონცერტებით გარკვეულწილად ვახალისებთ შეჭირვებულ ადამიანთა ცხოვრებას.

საგანგებოდ აღვნიშნავ მჭიდრო ურთიერთობას უცხოელებთანაც, რომლებთანაც ხში-

ირად გვიწევს კონცერტებისა და მასტერ-კლასების გამართვა, ლექციების ჩატარება ტრადიციული მუსიკის გაცნობის მიზნით. გადაღებული გვაქვს რამდენიმე მცირე და ერთი გრანდიოზული საიმპიჯო კლიპი. შეიძლება ითქვას, „რანინას“ დაბადებასთან ერთად დაიბადა ძალიან საინტერესო CD ალბომი, რომელშიც, შეძლებისდაგვარად, ავსახეთ ჩვენი რეპერტუარის მთელი მრავალფეროვნება, მის თანმხლებ ბუკლეტში კი ჩადებულია სრულფასოვანი ინფორმაცია ქართულ ტრადიციული მუსიკის შესახებ ორ ენაზე. ვფიქრობ, ეს ალბომი საინტერესო შენაძენია, განსაკუთრებით ჩვენი უცხოელი მსმენელებისთვის.

**მ.ხ.** — რაკი საქართველოში ჩამოსული უცხოელები ასე არიან დაინტერესებული თქვენი შემოქმედებით, ალბათ, მიწვევებიც გაქვთ უცხოეთიდან.

**ს.კ.** — დიახ, ანსამბლს უკვე ჰქონდა რამდენიმე მიწვევა. გახლდით გერმანიაში, ქალაქ Aachen-ში, სადაც ორი კვირის განმავლობაში ჩავატარეთ თითქმის 10 კონცერტი. არაჩვეულებრივი რეზონანსი მოჰყვა ჩვენს იქ ყოფნას ხელოვნების ფესტივალზე — დაიგეგმა შემდგომი, უფრო მასშტაბური ეტაპი, რომელიც მოიცავს ცენტრალური ევროპის ქვეყნებში რამდენიმე ათეულ კონცერტსა თუ სხვადასხვა კულტურულ აქტივობას. ასევე, გვაქვს მოწვევა აშშ-დან და კვიპროსიდან. მაისის თვეში უნდა გავმგზავრებულიყავით ბუდაპეშტში, თუმცა გლობალური პანდემიის გამო გაუქმდა დაგეგმილი ღონისძიებები.

**მ.ხ.** — ანსამბლის რეპერტუარში საგალობლებიც გაქვთ. ტამარში თუ გალობთ?

**ს.კ.** — დიახ, ყველანი ტამრის მგალობლები გახლავართ. ვგალობდით მთაწმინდის მამა დავით გარეჯელის ტამრის გუნდში, ქაშუეთში, მეტეხის ღვთისმშობლის ტამარში.

ამ ეტაპზე, გლობალური პანდემიის პირობებში, სამწუხაროდ, გავჩერდით. შეკრების დღიდანვე შევთანხმდით, რომ გარკვეული პერიოდულობით, სრული შემადგენლობით, კვარტეტ „რანინას“ სხვადასხვა ეპარქიისა თუ სამრევლო ტამრის წირვებში მიეღო მონაწილეობა. გახლდით ხონში, ბოლნისში, თეთრიწყაროს ეპარქიის ღოუბნის მონასტერში, თბილისის საბა განწმენდილის მონასტერში... სხვათა შორის ერთხელ ერთ-ერთი პენიტენციალური დაწესებულების ტამარშიც ვიგალობეთ წირვაზე... არსებული რეალობიდან გამომდინარე, ვაგრძელებთ მსგავს გასვლებს, თუმცა, საბოლოოდ, ალბათ, ერთ სამრევლოში, ერთ ტამარში დავმკვიდრდებით. ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს.

**მ.ხ.** — ვიცი, ასეთ ვითარებაში რთულია, მაგრამ სიტუაციის დარეგულირების შემდეგ რას გეგმავთ?

**ს.კ.** — ძალიან დიდი გეგმები გვქონდა (გვაქვს). მაგრამ COVID-19-მა სერიოზული კვალი დაგვატყო. ამჟამად ძალიან რთულია 2020-სა და 2021-ში დაგეგმილი აქტივობების პროგნოზირება. მაგრამ ერთს დარწმუნებით გეტყვით: გაჩერებას არ ვაპირებთ. გვინდა, გავამდიდროთ რეპერტუარი, გადავიღოთ საინტერესო კლიპები, შევქმნათ ჩვენზე მორგებული კომპოზიციები. სხვათა შორის, ქალბატონმა მარიკა კვალიაშვილმა რომ მოგვისმინა, თავადვე შემოგვთავაზა, რომ შეგვიქმნიდა სიმღერას, რასაც მოუთმენლად ველით.

**მ.ხ.** — წარმატებებს გისურვებთ!

*ინტერვიუ ჩაიწერა მაკა ხარძანმა*

## ნაითების საოჯახო ანსამბლი კანადიდან

ქართული ტრადიციული კულტურით უცხოელების დაინტერესებას დიდი ხნის ისტორია აქვს, თუმცა ბოლო ათწლეულების მანძილზე ქართულმა ფოლკლორმა არნახული რაოდენობის უცხოელი მუსიკოსი, მკვლევარი თუ მომღერალი მოიზიდა. მათ შორისაა ჩვენი რუბრიკის სტუმარიც — ქართული ტრადიციული მუსიკის მკვლევარი, კანადელი ეთნომუსიკოლოგი მეთიუ ნაითი, რომელმაც ქართული სიმღერის სიყვარული ოჯახსაც გაუზიარა და საქართველოში დამკვიდრებულ საოჯახო მუზიციერების ტრადიციას დიდი სიყვარულით აგრძელებს კანადაში.

გამარჯობა, მე ვარ მეთიუ ნაითი, ეთნომუსიკოლოგი კანადიდან. 2019 წელს ილინოისის ურბანა-შამფეინ უნივერსიტეტში მომენიჭა დოქტორის ხარისხი სადისერტაციო ნაშრომისთვის მუსიკალური ტურიზმის შესახებ სვანეთში. მე და ჩემი მეუღლე იოკი, ჩვენ ქალიშვილ როზასთან ერთად საქართველოში ვცხოვრობდით 2015 და 2016 წლებში. ამ ბიულეტენის 21-ე ნომერში მოგიყვებით ჩემს თავზე და ჩემს კვლევაზე, ამჯერად მთხოვეს ვისაუბრო ჩემს ოჯახზე და ჩვენს თავგადასავლებზე ქართულ მუსიკასთან დაკავშირებით.

მე და იოკი ერთმანეთს შევხვდით ჩვენი მშობლიური ქალაქის, მანიტობას უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტზე — ის ფორტეპიანოს სწავლობდა, მე კი მინდოდა, საგუნდო დირიჟორი გავმხდარიყავი. ორივე უნივერსიტეტის გუნდში ვმღეროდით, ასე რომ, მუსიკა ყოველთვის იყო ჩვენი ერთობლივი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი. 2013 წელს დაიბადა როზა, რომელსაც ჯერ კიდევ დაბადებამდე ჰქონდა მუსიკალური ნიჭი. როცა ის 2 თვის გახდა, იოკმა დაიწყო მუსიკის გაკვე-

თილების ჩატარება ბავშვებისთვის, რომელთაც როზაც ესწრებოდა.



მეთიუ ნაითის ოჯახი

ერთად საქართველოში პირველად 2014 წელს ჩამოვედით, როდესაც როზა ის-ის იყო 1 წლის გახდა და ლაპარაკს და სიარულს იწყებდა. თბილისის გარდა, ვსტუმრობდით ისლამ ფილფანის ოჯახს სვანეთში, მესტიის რაიონის სოფელ ლენჯერში. როზამ იქ ბევრი მეგობარი შეიძინა, განსაკუთრებით, ისლამის შვილიშვილები; ჩვენ სიხარულით დავბრუნდით საქართველოში საცხოვრებლად, როდესაც დამჭირდა ექსპედიციის ჩატარება ჩემი სადისერტაციო ნაშრომისთვის. 2015 და 2016 წლებში ბევრი შესანიშნავი რამ გადაგვხვდა, ბევრი მეგობარიც შევიძინეთ: ჩამგელიანები ლახუშდში (სვანეთი); თურმანიძეები მერისში (აჭარაში); ნინო რაზმაძე, თეო ლომსაძე, თაკო ჟორდანიას, ნინო ნანეიშვილი და მათი ოჯახები თბილისში; თუმცა, ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია.

აღმოვაჩინეთ, რომ როზა ჩვენი ოჯახის შესანიშნავი ელჩი იყო, რადგან ბევრ ადამიანს უნდოდა მასთან შეხვედრა, თამაში ან კანფეტებით გამასპინძლება. ამ პეროდის განმავლობაში ვსწავლობდი ხალხურ სიმღერებსა და საკრავებს რამდენიმე სხვადასხვა მასწავლებელთან, განსაკუთრებით ისლამ ფილფანთან. მე და იოკმა უამრავი სიმღერა ვისწავლეთ



ერთად, როზა კი უსმენდა ქართულ ხალხურ მუსიკას მრავალ სუფრასა და მასტერკლასზე. მცირე აუდიტორიისთვის ის სიამოვნებით მღეროდა სიმღერებს „ლაჟღავში“ და „სულიკო“, თუმცა, ზოგჯერ ამისთვის ჩვენს მეგობრებს უწევდათ მისი „მოქრთამვა“ შოკოლადით ან ნაყინით. 2015 წელს კი მესტიაში, საახალწლო კონცერტზე როზა პირველად გამოვიდა სცენაზე, სადაც 300-კაციანი აუდიტორიის წინაშე ეკა ფილფანთან ერთად შეასრულა საახალწლო სიმღერა Jingle Bells.

ჩვენი მეორე ქალიშვილი ლეა დაიბადა 2017 წლის დასაწყისში, ჩვენი კანადაში დაბრუნების შემდეგ. ისიც მსგავს მუსიკალურ გარემოში გაიზარდა. მუდამ ესმოდა სიმღერა ოჯახში, გაკვეთილებსა თუ კონცერტებზე. ჩვენმა ოთხსულიანმა ოჯახმა ერთი თვე გაატარა საქართველოში 2018 წლის ბოლოს; 2019 წლის ივნისში კი გვექონდა პატივი, გვემასპინძლა ჩვენი ექვსი მეგობრისთვის ანსამბლიდან „დიდგორი“, კანადაში მათი საკონცერტო მოგზაურობის დროს.

მე და იოკი ხშირად ვმღერით ერთად, მათ შორის ქართულ სიმღერებსაც, თუმცა მათ უმრავლესობას მესამე ხმაც სჭირდება. ახლა, როდესაც როზა წამოიზარდა, მან იცის საკუთარი პარტია და შეგვიძლია რამდენი სამხმიანი სიმღერის შესრულება. ჩვენს საყვარელ სიმღერებს შორის არის „ხინჭკალა“, „შინა ვორგილ“ და „სადავოი კირიალესა“. ლეასაც უყვარს სიმღერა და სამი წლის ასაკში, ზოგჯერ თავისი პარტიის შესრულებასაც ახერხებს, თუმცა როზასთან ერთად მღერას ამჯობინებს.

COVID-19 პანდემიის დროს, ჩვენ სიამოვნებით ჩაგწერეთ ვიდეო აჭარის გადაცემა „ეთნოფორის“ კამპანიისთვის „დარჩი სახლში“, სადაც შევასრულეთ სადღესასწაულო სიმღერა „ვერიდა მასპინძელსა“ იმ იმედით, რომ ერთ დღეს ყველანი კიდევ ერთხელ შევძლებთ შეკრებას დიდ სუფრასთან.

საქართველოში მრავლად არის ჩვენზე უფრო გამოცდილი და სრულყოფილი საოჯახო ანსამბლი, ამიტომ, ცოტა არ იყოს, დავაზნია იმან, რომ აჭარის ტელევიზიის, რადიო ვინილის და სხვა გვერდების მიერ ჩვენი ვიდეოს გაზიარებამ დიდი ინტერესი გამოიწვია: ფეისბუქზე გაკეთდა ათასობით კომენტარი და ვიდეოს ჰქონდა ასობით ათასი ნახვა. ინტერვიუსთვის დაგვიკავშირდა ტელეკომპანია „იმედი“.



ნათები ანსამბლ „დიდგორთან“ ერთად მათი კანადური გასტროლის დროს

ქართველები, ალბათ, მიჩვეული არიან ბავშვების ჰარმონიულ სიმღერასა და უცხოელების მიერ ქართული მრავალხმიანი სიმღერების შესრულებას, მაგრამ მათ არ გაეგოთ უცხოური ოჯახი, რომლის პატარა წევრები ქართულ მრავალხმიან სიმღერებს ასრულებენ.

ჩვენი ოჯახი ნამდვილად არ არის უნიკალური ან არაჩვეულებრივი, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ ჩვენ შეგვიძლია გავიზიაროთ ეს სიხარული და ვიმედოვნებ, რომ ეს საჩუქარი მთელი ცხოვრება გაგვყვება. მოუთმენლად ველით საქართველოში დაბრუნებას ერთ მშვენიერ დღეს!

## ავქსენტი მეგრელიძე

ავქსენტი მეგრელიძე გასული საუკუნის პირველი ნახევრის ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწე, მომღერალ-მგალობელი, საეკლესიო და ხალხური გუნდების ხელმძღვანელი, საკრავიერ ანსამბლთა შემქმნელი, ხალხური სიმღერების შემკრები და ჩამწერი, ხალხურ სტილში მრავალი სიმღერის ავტორი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე და ხალხური მუსიკის საკითხებზე თეორიულ ნაშრომთა ავტორია.

ავქსენტი მეგრელიძე ოზურგეთის რაიონის სოფელ ხრიალეთში დაიბადა. სიმღერა-გალობისადმი მისწრაფება ბავშვობიდანვე გამოამჟღავნა. ჯერ კიდევ მოზარდმა, შესაშური მუსიკალური ნიჭიერების წყალობით, შეისწავლა მდიდარი ხალხური რეპერტუარი და ჩინებული მომღერალ-მგალობლის სახელიც მოიხვეჭა.

ჭაბუკობის წლებში, ქუთაისის სასულიერო სემინარიაში, მუსიკალურ განათლებასთან ერთად, სერიოზული პრაქტიკული გამოცდილებაც შეიძინა. პედაგოგმა კორნელი მაღრაძემ მას ადრევე შეატყო ლოტბარობის უტყუარი ნიჭი და ალლო და მესამეკურსელ, 20 წლის ახალგაზრდას სემინარიის მგალობელთა გუნდის დამოუკიდებელი ხელმძღვანელის — რეგენტის მოვალეობა დააკისრა.

1900 წლიდან ავქსენტი მეგრელიძე საცხოვრებლად ფოთში გადავიდა და გურულ-მეგრული სიმღერის გუნდი დააარსა. ამ ქალაქში მოღვაწეობის 18 წლის განმავლობაში ლოტბარმა სამი გუნდი შექმნა. მათ შორის ყველაზე ცნობილი 1912 წელს შექმნილი მამაკაცთა 30-კაციანი გუნდი იყო, რომელშიც მღეროდნენ: ნ. ნიკოლაძე, ი. მეუნარგია, ა. ქავთარაძე, ს. ხოშტარია, გ. საბახტარიშვილი და სხვები. გუნდმა 1914 წლამდე იარსება და

სხვადასხვა ქალაქსა თუ სოფელში მრავალი კონცერტი გამართა.

ავქსენტი მეგრელიძის სახელი დაკავშირებულია ჩონგურის ალდგენა-პოპულარიზაციასთან. 1927 წელს მან გურიის სოფელ სუფსაში ჩამოაყალიბა მეჩონგურეთა დიდი ანსამბლი, რომელიც შექმნიდან ორი წლის შემდეგ წარმატებით გამოვიდა მეორე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე.

გურიასა და აჭარაში ექვსწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, 1933 წელს ავქსენტი მეგრელიძე თბილისში გადავიდა საცხოვრებლად. აქ მან ჩამოაყალიბა მეჩონგურე ქალთა ანსამბლი ელენე ჭუბაბრიას, მარგო თედიაშვილის, ნინო მილორავას, ელენე მეგრელიძის, ქეთევან მეგრელიძისა და სხვათა მონაწილეობით. პარალელურად, ბევრ ორგანიზაციასა თუ კლუბთან დააარსა მეჩონგურეთა ანსამბლები, რომელთა ხელმძღვანელებად თავისივე მოწაფეები დანიშნა. ტრიუმფალური იყო ავქსენტი მეგრელიძის მეჩონგურე ქალთა ანსამბლის გამოსვლა 1937 წელს მოსკოვში გამართულ ქართული ხელოვნების დეკადაზე, სადაც მათ საპატიო ჯილდოც დაიმსახურეს.



ავქსენტი მეგრელიძე

40-იან წლებში ავქსენტი მეგრელიძემ საქართველოს რადიოკომიტეტთან შექმნა ხა-

## ილიაუნის ხალხური სიმღერის სტუდენტური გუნდი

ლხური სიმღერის ანსამბლი. მის შემადგენლობაში იყვნენ შემსრულებლები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, რაც გუნდს თავისებურ კუთხურ კოლორიტს სძენდა. ამ ანსამბლის ჩანაწერები საქართველოს რადიოს ოქროს ფონდში ინახება.

ავქსენტი მეგრელიძე მთელი ცხოვრების განმავლობაში კრებდა და ნოტებზე იწერდა ხალხურ სიმღერებს, შემდეგ კი საკუთარ გუნდებს ამ ნიმუშებით ასაზრდოებდა. სხვადასხვა დროს ლოტბარს სიმღერები ჩაუწერია გურული ხალხური სიმღერის ცნობილი ოსტატებისაგან, როგორებიც იყვნენ: სამუელ ჩავლეიშვილი, ივლიანე კეჭაყმაძე, ალექსანდრე მახარაძე, ძმები ერქომაიშვილები, ერმალო სიხარულიძე, კოწია ხუბუნაიშვილი, მელქისედეკ ნაკაშიძე, ტელემაკ გურიელი, ალექსანდრე მგელაძე, ძმები სალუქვაძეები და სხვ. არა ერთი ნიმუში აქვს ლოტბარს ნოტირებული საკუთარი ოჯახის წევრებისგანაც. ავქსენტი მეგრელიძის მიერ ნოტირებული სიმღერები შეკრიბა და 2005 წელს კრებულად გამოსცა მუსიკოლოგმა ნატო მოისწრაფიშვილმა.

ავქსენტი მეგრელიძე ხალხურ სტილში საკუთარი საავტორო სიმღერების შემქმნელიცაა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი საბჭოური თემატიკისაა. მათ შორისაა: „ახ ტრაქტორო“, „სიმღერა ლესელიძეზე“, „სიმღერა ლურსმანაშვილზე“ და სხვა მრავალი. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს ამ სიმღერების მაღალმხატვრული ღირებულება.

ავქსენტი მეგრელიძეს 1951 წელს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა. ღვაწლმოსილი ლოტბარი 1953 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია თბილისში, ვაკის სასაფლაოზე.

*მოამზადა სოფიკო კოტრიკაძემ  
ნატო მოისწრაფიშვილისა და  
ლადო გეგეჭკორის მასალების  
მიხედვით*

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხალხური სიმღერის სტუდენტური გუნდი 8 წელია, რაც არსებობს და ამ დიდი სასწავლო ინსტიტუტის, შეიძლება ითქვას, ყველაზე სტაბილური და ცნობილი შემოქმედებითი ჯგუფია. გთავაზობთ ინტერვიუს გუნდის ხელმძღვანელთან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორ, ეთნომუსიკოლოგ თამაზ გაბისონიასთან.*

**რ.კ.** — საიდან გაჩნდა გუნდის იდეა და რა მიზანს ემსახურებოდა მისი შექმნა?

**თ.გ.** — სტუდენტური ანსამბლის ჩამოყალიბება დიდი ხანია, მსურდა; თან ისეთისა, სადაც მხოლოდ სტუდენტები იქნებოდნენ და არა — მოწვეული მომღერლები, ამასთან, შეძლებისდაგვარად, ყველა მსურველი შესძლებდა თავისი შემოქმედებითი მუხტის დახარჯვას. 2011 წელს კონსერვატორიიდან სამუშაოდ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გადავედი და მალევე მივხვდი, რომ ასეთ სტუდენტმრავალ დაწესებულებაში გუნდის ჩამოყალიბება დიდ სირთულეებთან არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ამასთან, მიწოდდა არა რჩეული რამდენიმე მომღერლის გამორჩევა, არამედ გოგო-ბიჭების ისეთი დიდი გუნდის შემოკრება, სადაც ახალგაზრდები თავის სტუდენტურ ცხოვრებას უფრო ფერადოვანს გახდიდნენ. სწორედ ეს იყო და არის გუნდის მთავარი მიზანი.

**რ.კ.** — როდის ჩამოყალიბდა ანსამბლი (გუნდი) და დაახლოებით რამდენ წევრს ითვლის დღეისათვის?

**თ.გ.** — თავდაპირველად 2011 წლის შემოდგომაზე შევიკრიბეთ და 2012 წლის თებერვალში უკვე პირველი კონცერტი მოვაწყვეთ. მას შემდეგ გუნდში ე.წ. როტაციის პრინციპი მოქმედებს — ყოველ სემესტრში გვემატებიან ახალი სტუდენტები, ხოლო კურსდამთავრე-



ბულები გვტოვებენ, მაგრამ არა ყველა - ბევრი მათგანი შემდგომშიც ახერხებს ჩვენთან ყოფნას და მღერას. ამჯერადაც, იმ პირველი შემადგენლობიდან სამი გოგონა და ერთ ვაჟი კვლავ დადის ჩვენთან რეპეტიციებზე.



ილიაუნის ხალხური სიმღერის სტუდენტური გუნდი

წევრების ზუსტ რაოდენობას ვერასდროს ვასახელებ. ფეისბუქის ჯგუფში, რომელსაც „ჩვენ“ ჰქვია, 130 წევრია, მათ შორის, როგორც ამ ბოლო დროს გადავთვალე, 100-ზე მეტი ისეთია, ვისაც დღესაც შეუძლია რომელიმე ხალხურ ანსამბლში წარმატებული მღერა. ამ მხრივ ერთადერთი მინუსი ისაა, რომ გოგონები აქტივობით ბევრად აღემატებიან ვაჟებს.

**რ.კ. — რა სიხშირით ატარებთ საანგარიშო კონცერტებს?**

**თ.გ. —** საანგარიშო კონცერტი ჩვენი გუნდის მთავარი აქტივობაა. იგი წელიწადში ორჯერ ტარდება — სემესტრების დასასრულს, ტრადიციულად — თებერვლისა და ივლისის დასაწყისში. დღემდე უკვე 17 კონცერტი ჩავატარეთ და უნდა ითქვას, რომ ყოველ კონცერტზე, საშუალოდ 22-25 ნიმუშს შორის, უმეტესობა ახალი შესწავლილი სიმღერებია. მხოლოდ ბოლო სამი კონცერტია, რომ აქა-იქ ძველ სიმღერებსაც ვიხსენებთ, მანამდე მხოლოდ ახალი რეპერტუარით გამოვდიოდით.

**რ.კ. — როგორია ანსამბლის რეპერტუარი, ძირითადად რა სახის სიმღერებს ასრულებთ და თუ არის მათ შორის უცხოენოვანიც?**

**თ.გ. —** ყოველ საანგარიშო კონცერტზე ვცდილობთ, თანაბრად წარმოვადგინოთ საქართველოს მუსიკალური დიალექტები, ყოველ ჯერზე რეპერტუარში გვაქვს ასევე ახლადნაწავლი ქალაქური სიმღერა (უმეტესად პოპურის სახით), საეკლესიო საგალობელი და უცხოური ფოლკლორის ნიმუში. ბოლო კონცერტზე გვქონდა ჰავაიური „ალოჰა ოე“ უკულებლების თანხლებით. ამჟამად კორეულ „არირანგს“ ვამზადებთ ოთხ ხმაში.

**რ.კ. — თუ იღებთ მონაწილეობას ფოლკლორულ ფესტივალებსა და სხვა საჯარო ღონისძიებებში?**

**თ.გ. —** უნდა გითხრათ, რომ გუნდი აქტიური საგასტროლო ცხოვრებით არ გამოირჩევა. ჩვენი მუშაობისას აქცენტი მონაწილეობაზე გვაქვს და არა იმდენად — საშემსრულებლო ოსტატობის დახვეწაზე. და მაინც, უნდა აღინიშნოს გუნდის ორი წარმატებული გამოსვლა ბათუმის საერთაშორისო ფესტივალზე, წარმატება სტუდენტურ დღეებში (ფინალში გასვლით), მონაწილეობა 26 მაისს რუსთაველის გამზირზე გამართულ კონცერტში, რამდენიმე საქველმოქმედო გამოსვლა, აქტივობები ტელევიზიასა და რადიოში, წარმატებული გასტროლი 2016 წელს კრაკოვში, სადაც ქართული კულტურის დღეების ფარგლებში 3 კონცერტი გავმართეთ; და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, 2019 წელს, საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდულ საგუნდო კოლექტივთა კონკურსში ორი პირველი ადგილის მოპოვება (ოქროს და ვერცხლის მედლებით) სიმღერისა და საგალობლის ნომინაციაში.

არ შემიძლია, აქ არ ვახსენო რამდენიმე გუნდის წევრის მიერ ამა წლის ქრისტეშობის ღამეს ალილოობაზე ჩამოვლა ჩემი ძველი გარდაცვლილი მეგობრის, ცნობილი ეთნომუსიკოლოგის, ედიშერ გარაყანიძის სახელობის ქუჩაზე ავჭალაში.



**რ.კ.** — თუ შეგიძლიათ, რომ გვიამბოთ სამუშაო პროცესის შესახებ. რა მეთოდებს იყენებთ იმ უცნობი სიმღერების შესწავლისას, რომელიც მრავლადაა თქვენს რეპერტუარში?

**თ.გ.** — ცხადია, 17 კონცერტზე ცვალებადი რეპერტუარის გამოტანა სიმღერების შერჩევის შრომატევად სამუშაოს გულისხმობს. უნდა გამოვტყდე, რომ არის სიმღერები, რომლებსაც სტუდენტები „გულს ვერ უღებენ“. ამ შემთხვევაში, გადაწყვეტილება „მათ სასარგებლოდ“ მიიღება. ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ მელოდიისა თუ ბანის სწავლებისას ვსინჯავთ სხვადასხვა ვარიანტს და მათ შორის ერთად ვარჩევთ უმჯობესს. ჩემს პატარა მეგობრებს სიმღერებს ძირითადად ზეპირად ვასწავლი, ნოტების გარეშე. დიდად არც ჩანაწერებს ვახვევ თავზე, თუმცა, რა თქმა უნდა, ვასმენინებ დედნებს. სიმღერას ყველა ერთად სწავლობს (თავ-თავიანთ ხმას), თუმცა კონცერტამდე ერთი თვით ადრე უკვე ვიწყებთ სიმღერებში სოლისტების განპიროვნებას, ისიც — რამდენიმე ვარიანტად (რეზერვად). ყოველთვის მიჭირს ხოლმე სოლისტების დადგენა (ხშირად ვცვლი) და ამიტომ ამ პროცესს დიდი ჟივილ-ხივილი ახლავს თან.

**რ.კ.** — საინტერესოა, როგორია ანსამბლის წევრების ერთმანეთისა და საერთო საქმისადმი დამოკიდებულება?

**თ.გ.** — გუნდში სხვადასხვა პროფესიის სტუდენტები არიან, მხოლოდ რამდენიმეა მათ შორის მუსიკოსი. თუმცა, ეს არაფერს აკლებს მათ ინტერესს ხალხური სიმღერისადმი.

ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ სტუდენტებს გუნდში მოუხარიათ, იძენენ მეგობ-

რებს, გვყავს სამი დაქორწინებული წყვილიც. კონცერტების შემდეგ ყოველთვის გვაქვს „კულტურული განყოფილება“, ერთგვარი „კონცერტის გაგრძელება“.

სასიამოვნოა შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ გუნდში მონაწილეობა აქტიურად 100-ზე მეტმა წევრმა მიიღო, არ მახსენდება რამდენადმე დაძაბული ურთიერთობის შემთხვევები გუნდის წევრებს, ასევე ჩემსა და მათ შორის.



ილიაუნის ხალხური სიმღერის სტუდენტური გუნდის 2014 წლის კონცერტის აფიშა

**რ.კ.** — რაც შეეხება უცხოურ ანსამბლებთან თანამშრომლობას, როგორც ვიცი, უახლოეს წარსულში საერთო კონცერტი ჩაატარეთ რამდენიმე უცხოურ ანსამბლთან ერთად. მოგვიყვით ამ საინტერესო თანამშრომლობის შესახებ.

**თ.გ.** — დიახ, გვქონდა ერთობლივი კონცერტები პოლონურ გუნდ „ედუკატუსთან“, დრეზდენის ახალგაზრდულ გუნდთან, ჰოლანდიურ „ბარბერ ენდ ბიშოფსთან“ (ორჯერ), შევასრულეთ ერთობლივი ნიმუშებიც. თუმცა სხვადასხვა მიზეზის, მათ შორის ჩვენი გუნდის სიდიდის გამო, საპასუხო გასტროლი ვერ შედგა.

**რ.კ.** — არ შემიძლია არ გავიხსენო ახალქალაქის ფოლკლორული ექსპედიცია, რომლის მონაწილე თავადაც გახლდით. ეს

იყო ძალიან კარგი გამოცდილება ამ სფეროში. კიდევ გეგმავთ თუ არა მსგავსი ექსპედიციების მოწყობას გუნდის სხვა წევრებისთვისაც?

თ.გ. — მართლაც საინტერესო დღეები გვექონდა 2019 წლის აგვისტოში ახალქალაქში, სადაც ეთნომუსიკოლოგიურ შემკრებლობით ექსპედიციაში ჩემთან ერთად გუნდის სამი წევრი იმყოფებოდა. მიუხედავად იმისა, რომ დილიდან ღამემდე ვმუშაობდით, ვიცი, რომ გოგონებმა დაუვიწყარი შთაბეჭდილება მიიღეს. ამ ზამთარს კონცერტზე ახალქალაქში ჩაწერილი რამდენიმე სიმღერაც კი შევასრულეთ. გვექონდა ამ ექსპედიციის შესახებ სტუდენტების მიერვე მომზადებული პრეზენტაციაც. ცხადია, განზრახული გვაქვს, ამგვარი აქტივობა მომავალშიც გაგრძელდეს.

რ.კ. — როგორია თქვენი გუნდის სამომავლო გეგმები?

თ.გ. — ბოლო დროს შევკრიბე გუნდის რამდენიმე, უკვე გამოცდილი წევრი და გვინდა ცალკე, როგორც „ანსამბლმა“, სახელით „ილიელები“, მოვსინჯოთ ძალები. სამწუხაროდ, ანსამბლსაც და გუნდსაც, პანდემიის გამო, ხელი შეგვეშალა, თუმცა, გვაქვს შემოთავაზება სერბეთში გამართულ ფოლკლორულ ფესტივალში მონაწილეობის მიღებისა, ასევე მიმდინარეობს მოლაპარაკებები კიევის კონსერვატორიასთან იქ კონცერტის ჩატარების თაობაზე. ვნახოთ. ჯერჯერობით, მდგომარეობის შესაბამისად, მხოლოდ ჩემ მიერ ცალ-ცალკე ხმების და მათი გაერთიანების მეთოდით 10 სიმღერა გვაქვს, ასე თუ ისე, ნასწავლი. თუ ამ სემესტრში ვერ მოვახერხებთ შეკრებას, ვაპირებთ ონლაინკონცერტის გამართვას და სამ-სამი სოლისტის მიერ სიმღერების კლიპების ჩაწერას.

*ინტერვიუ ჩაიწერა გუნდის წევრმა რუსუდან კორკოტაშვილმა*

## კატაჯაქი - ინუიტების ხორხისმიერი მღერა

მსოფლიოში ცნობილია ხორხისმიერი, ობერტონული მღერის ნიმუშები, განსაკუთრებით — *ჰომეი* — უპირატესად მონგოლური ტრადიცია, რომელიც ერთი ადამიანის მიერ ორი განსხვავებული ტემბრის და საკმაოდ დაშორებული რეგისტრის ბგერის გამოცემას ითვალისწინებს: ხორხისმიერი დაბალი ბურდონული ბგერისა და ობერტონული, პენტატონიკურად მოძრავი მაღალი მსტვენი ხმისა. ესაა ერთგვარი სოლო ორხმიანობა.

ობერტონული მღერა მსოფლიოს რამდენიმე სხვა ხალხშიცაა გავრცელებული: ჩუქჩებში, ტუვაში, ბურიატიაში, ბაშკირეთში, იაპონიაში, ტიბეტში, აფრიკაში — ხოსას ხალხში, სარდინიაში და ა.შ.

თუმცა, ამჟამად გვინდა, ყურადღება შევაჩეროთ ობერტონული მღერის ერთ განსხვავებულ სახეობაზე, რომლის შესრულებისას მრავალხმიანობა თავს ამჟღავნებს არა იმდენად ორი ან მეტი ბგერის ერთდროულად ჟღერადობით, არამედ — ორი მომღერლის მონაცვლეობით ჟღერადობით. ესაა კანადელ ინუიტ ქალთა წყვილის ტრადიცია სახელად *კატაჯაქი* (Katajjaq). ეს ტრადიცია ინუიტების სხვადასხვა განშტოებაში სხვადასხვა სახელითაა ცნობილი, რომელთაც უფრო მეტად უსადაგებენ ზოგად სახელს „თამაშები, შექმნილი ბგერებით და ხმაურით“ (Nipaquhiit).

ქალთა დუეტის ამგვარი „ვოკალური თამაშები“ (მას ასევე „სუნთქვით სიმღერებს“ ეძახიან) დადასტურებულია მე-19 საუკუნეში — კანადის არქტიკასა და ალიასკაზე. ერთ დროს ინუიტებს ქრისტიანი მისიონერები უკრძალავდნენ ამ ქმედებას, მაგრამ 1980-იანი წლებიდან *კატაჯაქი* თანდათან პოპულარული ხდება.

ორი ქალი ერთმანეთის მჭირდოდ, პირისპირ დგას, პირი ახლოს აქვთ მიტანილი და გამოსცემენ სხვადასხვა არასამეტყველო ხმას — ცხოველების და ფრინველების ხმებს, ბუნების ხმებს. ესაა ბგერითი ექსპერიმენტები (ხმაურიანი შესუნთქვა-ამოსუნთქვა, ერთგვარი ხვრინვა, დაბალი და მაღალი ბგერების მონაცვლეობა), სამეტყველო მორფემები (არქაული სიტყვები, წინაპართა სახელები, ცხოველთა სახელები, ტოპონიმები, საგნები, რომლებსაც იქვე, იმ დროს ხედავენ), მცირე მოტივები, მათ შორის აკვისის ნანისა (aqausiq) და ა.შ. ქალები უფრო ხშირად ხელებს ჩასჭიდებენ ხოლმე ერთმანეთს და, არცთუ იშვიათად, ხმას რიტმულ მოძრაობასაც აყოლებენ.

ერთი სოლისტი მეორეს გასაგრძელებლად სთავაზობს გარკვეული რიტმული ნახაზისა და ორიგინალური ტემბრის ინტონაციას, რომელსაც მეორე მსგავსად, თუმცა, მაინც თავისებურად პასუხობს. მოპასუხე ვალდებულია მყისვე გაიმეოროს დამწყები სოლისტის მიერ შეთავაზებული ინტონაცია. ადრე შემსრულებლები იმდენად მჭიდროდ ებჯინებოდნენ ერთმანეთს, რომ წინ მდგარი მოპასუხის პირი სოლისტის მიერ რეზონატორად გამოიყენებოდა. შემსრულებელთა ხმები იმდენად ორგანულადაა შერწყმული ამ დუეტში, რომ უწყვეტად ისმის ერთი ოსტინატური ორხმიანობა, — ზოგჯერ სამი ხმის ეფექტითაც კი.

ამ ეგზოტიკური ხმოვანების მიმდევრები დღეს ზოგჯერ სოლო შემსრულებლებადც გამოდიან სცენაზე (მაგალითად, ცნობილი ტანია ტაგაქი — Tanya Tagaq), ასევე, ხშირია ამ ტემბრის ხმების გამოყენება პოპში, ფოლკში, როკში და რიტმული მუსიკის სხვა ჟანრებში.

ეს უცნაური წარმოდგენა დღეს მხოლოდ საჩვენებლად იმართება, შეიძლება გაიმართოს ნებიმიერ დროს და, უმეტესწილად, სოლისტ ქალთა შორის შეჯიბრის ფუნქცია აქვს, — თუ პირველად ვინ შეაშლევინებს მეორეს.

შეჯიბრი დაახლოებით 2-3 წუთს გრძელდება და უფრო ხშირად მთავრდება „წაგებული“ ქალის მიერ თამაშის სიცილით შეწყვეტით. თუმცა, აშკარაა, რომ ამ ტრადიციას ადრე სხვა ფუნქცია ექნებოდა, რომელიც დღეს უკვე ტრანსფორმირებულია. როგორც ვარაუდობენ, ადრე ეს ინუიტ ქალთა გართობის ერთ-ერთი რიტუალური სახეობა იყო — მაშინ, როდესაც სანადიროდ მიმავალი ქმრები მათ დიდხანს ტოვებდნენ. სხვა მოსაზრებით კი, ასეთი ქმედება ერთგვარი შამანური დატვირთვისა იყო — სულებზე ამგვარი მაგიური ზემოქმედებით ქალები ქმრებს ეხმარებოდნენ ნადირობაში და ავი სულებისაგან თავის დაცვაში. *კატაჯაქის* სხვაგვარი ტრადიცია, რომელიც ინუიტთა სხვა შტოს ეკუთვნის, *პირქუსირტუქია* (Pirqusirtuq), რომელიც შედარებით ერთგვაროვანია, თუმცა მისი ზოგიერთი სახეობა ითვალისწინებს სიუჟეტურ ტექსტებსაც — ბალადებს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ქალთა მიერ სხვადასხვა ხმის გამოცემისადმი მიდრეკილება აქვთ ჩუქჩებსაც, სწორედ იმ ხალხს, რომელთა წინაპრებმაც მოახერხეს ბერინგის სრუტის გადალახვა და ამერიკის კონტინენტზე შედღწევა, ხოლო შემდეგ ამერიკის მთელ ტერიტორიაზე გადანაწილდნენ. გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 70-იან წლებში ცნობილმა ფსიქოლოგმა და ეთნომუსიკოლოგმა კარლ შტუმპფმა დაადასტურა, რომ ციმბირის ხალხებსა და ჩრდილოამერიკელ ინდიელებს შორის ნათესაობაზე სწორედ მუსიკალური მონაცემების სიახლოვე მიანიშნებს.

საინტერესოა, რომ მსგავსი ტრადიცია გააჩნიათ იაპონელ, ჰოკაიდოელ აინუებსაც (ადრე სახალინის მკვიდრებსაც), — სახელად *რეკუჰკარა* (Rekuhkara). აქაც ქმედებაში ორი ქალი მონაწილეობს, ოღონდ ისინი ხელებით, მუჭებით ერთგვარ მილს აკეთებენ და მისი მეშვეობით „ჩამღერებულ“ პირში ერთმანეთს — ძირითად განმეორებით, გარკვეული ინტერვალით დაშორებულ ბგერას ან სხვაგვარ ინტო-



ნაციას. საკმაოდ ახლომდგომი ტრადიცია გვხვდება ვიეტნამშიც.

*ინუიტების სიმღერის მოსასმენად, მიჰყევით ბმულს*

[https://www.youtube.com/watch?time\\_continue=212&v=qnGM0BlA95I&feature=emb\\_logo](https://www.youtube.com/watch?time_continue=212&v=qnGM0BlA95I&feature=emb_logo)

**თამაზ გაბისონია**  
*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი*

*ერთი რეგიონული ანსამბლი*

## **ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „იაგუნდი“ აჭარიდან**

*რეგიონული ანსამბლების არსებობა ეროვნული ფოლკლორის შენარჩუნების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ყოფას მოწყვეტილი ფოლკლორული ნიმუშები, მიუხედავად მათი მეორეულობისა, მეტ-ნაკლებ ავთენტიკურობას ყველაზე მეტად სწორედ ტრადიციების მატარებელი ადამიანების შესრულებით ინარჩუნებენ. საბედნიეროდ, საქართველოს ბევრ კუთხეში დღემდე არსებობენ ანსამბლები, რომლებიც საკუთარი კუთხის ფოლკლორულ ნიმუშებს აგროვებენ და ასრულებენ. ბიულეტენის ამ ნომერში გვინდა წარმოგიდგინოთ აჭარაში, კერძოდ, ქედის მუნიციპალიტეტში მოქმედი ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „იაგუნდი“, რომლის შესახებაც ქედის კულტურის ცენტრის რეჟისორი, ფოლკლორისტი **ლია მახარაძე** გვესაუბრება.*

ქალთა ფოლკლორული ანსამბლის ჩამოყალიბების მოთხოვნილება საქართველოში ქალთა ანსამბლების სიმცირემ განაპირობა. იდეა ეკუთვნოდა აჭარის კულტურის ცენტრის ახალგაზრდა ლოტბარს, ვაჟთა ფოლკლორულ ანსამბლ „ელესას“ ხელმძღვანელს, ირაკლი სირაბიძეს. თავდაპირველად ან-

სამბლს „ხარატული“ ეწოდა (ამ სახელწოდების ავტორი მე გახლავართ). „ხარატული“ აჭარული აკვნის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც ჭრელადაა მოხატული (ხარატული — დახატული). რაკი აკვანი ტრადიციულად ქალის ყოფასთან ასოცირდება, ეს სახელწოდება კარგად მიესადაგებოდა ქალთა ანსამბლს, რომელიც ქედის კულტურის ცენტრთან ჩამოყალიბდა 2008 წელს, ეთნომუსიკოლოგ ქეთევან ნაგერვამის ხელმძღვანელობით.



**ქეთევან ნაგერვაძე**

თავდაპირველად ანსამბლში 9 წევრი იყო, მათი ასაკი 25-დან 41 წლამდე მერყეობდა. მათ შორის სამი პროფესიონალი მუსიკოსი გახლდათ: ქეთევან ნაგერვამემ ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის კონსერვატორია დაამთავრა ეთნომუსიკოლოგიის სპეციალობით, მარინა ჯიჯავამემ — ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური სასწავლებელი, ლელა დუმბაძემ — ბათუმის რევაზ ლალიძის სახელობის N2 სამუსიკო სასწავლებელი. დანარჩენი გოგონები კი მომღერალთა ოჯახებიდან იყვნენ. მას შემდეგ ანსამბლის შემადგენლობა რამდენჯერმე შეიცვალა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან, უფროსებთან ერთად, ქალთა ანსამბლში და-



საოჯახებელი ახალგაზრდა გოგონებიც მღეროდნენ. ზოგი გათხოვდა და წავიდა, ზოგიც ახალი შემოემატა. ამჟამად ანსამბლში მეოთხე თაობა მოღვაწეობს, თუმცა მისი ზოგიერთი წევრი პირველი თაობიდან მოდის. ანსამბლის თანამედროვე შემადგენლობა ასეთია: მარინე ჯიჯავაძე, ბულბული ბერიძე, ციცინო ბარამიძე, ლელა დუმბაძე, ლინდა დევაძე, თინათინ დევაძე, შორენა ჯიჯავაძე, ანჟელა ბერიძე და ნათია სირაბიძე.



ანსამბლი „იაგუნდი“ საქართველოს ფოლკლორის 2015-2016 წლის ფესტივალზე

ჩამოყალიბების დღიდან ანსამბლი ასრულებდა აჭარისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხის ქალთა სიმღერებს, თუმცა, გამომდინარე მისი რეგიონული კუთვნილებიდან, უპირატესობა, რასაკვირველია, აჭარულ ფოლკლორს ენიჭებოდა. ქეთევანის მიზანი იყო, აღედგინა ქალთა უძველეს სიმღერებთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები, ხალხური ტრადიციები, რომლითაც საკმაოდ მდიდარია ქედის მუნიციპალიტეტი.

ქეთევანი ხშირად ხვდებოდა ეთნოფორებს, იწერდა მათგან სიმღერებს და სწორედ ამ ნიმუშებით ამდიდრებდა ანსამბლის რეპერტუარს, თუმცა, ასევე, სარგებლობდა საარქივო ჩანაწერებითაც. უნდა ითქვას, რომ „იაგუნდი“ ამჟამად, ძირითადად, სწორედ მის მიერ მოძიებულ სიმღერებს ასრულებს, თუ-

მცა, ბოლო დროს, კერძოდ, 2018 წლიდან, ანსამბლის რეპერტუარი გამდიდრდა მამაკაცთა სიმღერებით ზემო აჭარიდან.

2012 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა ანსამბლის ერთ-ერთი წევრი, ია ბერიძე. სწორედ ამის შემდეგ, კულტურის ცენტრის დირექტორის, შორენა კარანაძის ინიციატივითა და გოგონების მოწადინებით, ანსამბლ „ხარატულს“ სახელი გადაერქვა და იას გუნდი, ანუ „იაგუნდი“ ეწოდა.

2015 წელს ანსამბლმა კიდევ ერთი ტრადიცია გადაიტანა — ტრაგიკულად დაიღუპა მისი ხელმძღვანელი — ქეთევან ნაგერვაძე, რაც აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო თითოეული წევრისათვის. ქეთევან ნაგერვაძე მარტო „იაგუნდს“ კი არა, მთელ რეგიონს დააკლდა! სწორედ მისი დამსახურება იყო, რომ ჩამოყალიბებიდან 6 თვეში ანსამბლმა ქობულეთის საერთაშორისო ფესტივალზე საპრიზო ადგილი აიღო. ქეთევანი თქვენს მონა-მორჩილთან და ლეილა ბეჟანიძესთან ერთად, მუშაობდა არა მხოლოდ მუსიკალურ ფოლკლორზე, არამედ ეთნოგრაფიულ მასალებზეც, იძიებდა იმ ყოფით ტრადიციებს (განსაკუთრებით ხალხური რეწვისა), რომლებიც შემორჩენილი იყო ქედის სოფლებში და მათ აღორძინებასაც გეგმავდა. სამწუხაროდ, მას ძალიან ბევრი იდეა დარჩა განუხორციელებელი. სხვათა შორის, ქეთევანის შემდეგ „იაგუნდი“, ფაქტობრივად, უხელმძღვანელოდ აგრძელებს მოღვაწეობას.

ჩამოყალიბების დღიდან ანსამბლი აქტიურად მონაწილეობდა და დღემდე მონაწილეობს ფოლკლორულ და სახალხო დღესასწაულებში, ასევე, საქველმოქმედო კონცერტებსა და აქციებში, როგორც მუნიციპალური, ისე რეგიონული მასშტაბით. გარდა ამისა, 2010 წელს მონაწილეობა მიიღო კახეთში გამართულ ფესტივალში „შენ ხარ ვენახი“, 2011 და 2013 წლებში — ფესტივალ „არტ-გენში“, რამდენჯერმე გადაიღეს აჭარის ტელევიზიის გადაცემებში „სცენა“ და „ეთნოფორი“.

## საქართველოში გავრცელებული დასარტყამი საკრავები

2013 წელს გოგონებმა იმოგზაურეს თურქეთის რესპუბლიკაში „ბაიარ ტურში“ მონაწილეობის მისაღებად, რომელსაც ცნობილი მომღერალი ბაიარ-შაჰინ გუნდარიძე ხელმძღვანელობდა. ანსამბლი გიორგი გარაყანიძის სახელობის ბათუმის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ყოველწლიური საერთაშორისო ფესტივალის ხშირი მონაწილეა.

წარმატებული აღმოჩნდა „იაგუნდის-თვის“ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ ჩატარებული საქართველოს ფოლკლორის 2015-16 წლების ეროვნული ფესტივალი, სადაც იგი ლაურეატი გახდა. 2016 წელს ფონდმა „ქართული გალობა“ აჭარული ტრადიციული სიმღერის პოპულარიზებაში შეტანილი წვლილისათვის „იაგუნდს“ სპეციალური სიგელი და ფულადი ჯილდო გადასცა. გასულ წელს ამავე ფონდმა ჩაწერა ანსამბლის სიმღერები და გეგმავს მათ კომპაქტ-დისკის სახით გამოცემას.

ამჟამად ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელობა (დირექტორი ჯამბულ სურმანიძე) ცდილობს, ანსამბლს მოუძებნოს ღირსეული ლოტბარი, რომელიც გააფართოვებს „იაგუნდის“ შემოქმედებითი მოღვაწეობის ფარგლებს და გაამრავალფეროვნებს მის რეპერტუარს.

საქართველოში ძველად სხვადასხვა დანიშნულების არაერთი დასარტყამი საკრავი ჰქონიათ. მათ შორისაა: დოლი, დაირა, დიპლიპიტო, წინწილა, ლინი, ეჟვანი, ბობდანი, ტაბლაკი, სპილენძ-ჭური და მრავალი სხვა, რომელთაგან ზოგს სასიგნალო, ზოგს საბრძოლო, ზოგს კი ცეკვის თანხლების ფუნქცია ჰქონდა. თუმცა, სამწუხაროდ, ამ საკრავების უმრავლესობა დღეს გამქრალია ყოფიდან და მხოლოდ სამუზეუმო ექსპონატებადაა ქცეული, ზოგის არსებობის შესახებ კი მხოლოდ ისტორიულ-ეთნოგრაფიული წყაროები მოწმობენ.

საქართველოში ბოლო დრომდე შემორჩენილი დასარტყამი საკრავებია დოლი, დაირა და დიპლიპიტო.

*დოლისა* და *დაირის* ფუნქცია ცეკვის დროს რიტმული სურათის ხაზგასმაა. ეს საკრავები, ძირითადად, საქართველოს ბარის კუთხეებშია გავრცელებული, მთაში შედარებით იშვიათად ვხვდებით. მათ ამ კუთხეებში ტაში ცვლის.

საერთოდ, ქართული ცეკვები წარმოუდგენელია ტაშის გარეშე. დასარტყამი საკრავის მონაწილეობის დროსაც, ცეკვას ტაშს აყოლებენ. ტაში ტაქტის ძლიერი დროების რიტმს უსვამს ხაზს და ცეკვის ცხოველმყოფელობას აძლიერებს. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ პირველი დასარტყამი საკრავის დანიშნულება იყო, გაეძლიერებინა ადამიანის ბუნებრივი რიტმული ბგერათწარმოების ეფექტურობა, რომელსაც იგი ხელების საშუალებით ახორციელებდა.

ტერმინი „ტაში“ არაბული წარმოშობისაა (არაბ. „დაშ“) და ქვას ნიშნავს. აქედან გრიგოლ ჩხიკვაძე აკეთებს დასკვნას, რომ ძველად კოლექტიურ შრომის პროცესებსა და მაგიური ხასიათის მოძრაობებს აყოლებდნენ რიტმულად ქვის ქვაზე შემორტყმას. ეს საინტერესო ჩვეულება ზოგიერთ ქართულ სოფელში შემონახულა. მაგ: კახეთში, სოფელ ხაშში, ჯერ კიდევ რამდენიმე ათწლეულის წინ ცეკვის დროს ტაშის ნაცვლად ქვას ქვაზე სცემდნენ.



დოლი

უძველეს დასარტყამ საკრავად, ქვასთან და ტაშთან ერთად, შეიძლება აღიარებულ იქნას აღმოსავლეთ საქართველოს მთაში (ხევსურეთი, ფშავი) დადასტურებული ე.წ. *ტოში*. ეს იყო ხანჯლის, დანის ან ჯოხის ცემა ხის ფიცარზე. *ტოში* წარმოადგენს დასარტყამი საკრავის უმარტივეს სახეს, ტაშიდან დასარტყამ საკრავზე გადასვლის გარდამავალ ეტაპს. მთხრობელთა სიტყვებით, ხევსურეთში ცეკვა უტოშოდ არ შეიძლებოდა. ფშავში *ტოში* ფანდურზე დაკვრასაც ახლდა, როდესაც ფანდურზე საცეკვაო სრულდებოდა. ხევსური მთხრობელის სიტყვებით, ცეკვას სიმღერა ისე არ სჭირდებოდა, როგორც *ტოში*. *ტოში* ფუნქციის მიხედვით იგივეა, რაც ტაში, მაგრამ უფრო ეფექტური. იგი, ასე ვთქვათ, გაძლიერებულ ტაშს წარმოადგენს. ტაშის დროს ტაშის დინამიური სიმღერე მომატებულია ორი მყარი საგნის ერთმანეთზე ცემით.

**დოლი** წარმოადგენს ხის პატარა ცილინდრულ კონუსს, რომლის ორივე მხარეზე გადაკრულია ტყავი. ეს ტყავი დამაგრებულია თასმებით და მასში გაყრილია რკინის რგოლები, რომლებითაც იჭიმება ტყავი.

**დოლზე** უკრავენ ხელებით ან ჯოხებით. ზოგჯერ ჯოხს გაგანიერებული ბოლო აქვს. **დოლი** უჭირავთ მარცხენა ილღის ქვეშ ან ჩამოკიდებული აქვთ. უკრავენ მჯდომარე მდგომარეობაში. ზოგჯერ მედოლე თვითონაც ცეკვავს.

**დოლზე** ჯოხებით დაკვრისას ერთი ჯოხით უკრავენ ცალ მხარეს (ტყავზე), მეორეთი — მეორე მხარეს. ჯოხებს აქვთ ყუღები, რომლებითაც ჯოხები შემსრულებელს ხელებზე აქვს მიმაგრებული. **დოლზე** მიიღწევა ტრელები, ტრემოლო, ფორშლაგები. როდესაც forte-ს ეფექტის მიღწევა სურთ, უკრავენ შუა ადგილას, ხოლო piano-ს დროს — **დოლის** ნაპირებზე.

**დოლზე** უკრავენ ძირითადად მამაკაცები; ცეკვის დროს ის ხაზს უსვამს ცეკვის რიტმს. მასთან ერთად ხშირად ხდება სხვა ერთი რომელიმე საკრავის გაერთიანება ანსამბლში, მაგალითად, ჩონგურის ან ჭიბონის, იშვიათად — სალამურის.

**დოლის** ფუნქციას შეადგენს ცეკვის რიტმული სურათის ხაზგასმა. მისი პარტია ოსტინატურ რიტმულ მიმოქცევებს ემყარება. **დოლი** სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშიც მოიხსენიება „დაფდაფის“ სახელწოდებით

**დაირა** ხის რკალზე ცალი მხრიდან ტყავადაკრულ, დასარტყამ საკრავს წარმოადგენს. რკალზე შიგნიდან ჩამოკიდებულია საჩხარუნებლები — თხელი და მრგვალი პატარა ფირფიტები და ეჭვნები. რკალი ინკრუსტირებულია თეთრი სადაფით და შავი ძვლით.

დაკვრის დროს **დაირა** უჭირავთ ორივე ხელით. ცერა თითებზე მიყრდნობილია **დაირის** რკალი. დანაჩენი თითები დევს



მემბრანაზე და ამ თითებით აჟღერებენ მას. მარცხენა ხელის თითები უფრო ხშირად გაუნძრევლად დევს. უკრავენ მარჯვენა ხელის თითებით, ზოგჯერ მთელ ხელსაც არტყამენ მემბრანაზე. უკრავენ ჟღერადი ზედაპირის ცენტრში ოთხივე თითით, ცალკეული თითებით, ზოგჯერ მაჯას რკალზე მიატყვამენ, საკრავს აქნევენ და ჟღარუნებსაც ახმაურებენ.



დაირა

დაირა გავრცელებულია ქართლ-კახეთში, თუშეთში, სამეგრელოსა და რაჭაში. გარეგნული ფორმით სხვადასხვა კუთხის დაირები ერთმანეთის მსგავსია. განსხვავება მასალაშია. მაგალითად, თუშეთში დაირისათვის ცხვრის ტყავს იყენებდნენ და რკალზე ფულებს ჰკიდებდნენ. კახეთში — ხარის ფაშვს აკრავდნენ რკალზე.

დაირაზე უკრავენ ძირითადად ქალები, ცეკვის დროს. რამდენიმე დაირა ერთად არ გამოიყენება. დაირა ხშირადაა ჩართული ინსტრუმენტულ ანსამბლებში. მაგალითად, მრავალდერიან სალამურთან ერთად სამეგრელოში, ფანდურთან ერთად კახეთში და ა.შ. დაირაზე უკრავენ რაჭაში მამაკაცები „ცხენკაცობის“ თამაშის, ქალები კი — „ბერქალურის“ ცეკვის დროს.

დაირის ფუნქციას, დოლის მსგავსად, შეადგენს ცეკვის თანხლება და მისი რიტმის ხაზგასმა.

დაირა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშიც მოიხსენიება „დაფის“ სახელწოდებით.

ბოლო დრომდე საქართველოში გავრცელებული ყოფილა დიპლიპიტოც, თუმცა, მის სამშობლოდ აზია ითვლება. საკრავი შედგება სხვადასხვა სიგანისა და ერთნაირი სიმაღლის თიხის ორი პატარა ქილისაგან, რომლებზეც გადაკრულია ციკნის ან ხბოს ტყავი. სხვადასხვა ზომის გამო, ისინი განსხვავებული სიმაღლის ბგერებს გამოსცემენ. ქილები თასმითაა გადაბმული და გარედან ნაირფერადაა მოხატული. დიპლიპიტოს უკრავდნენ ორი პატარა ჯოხით, რომლებსაც „თხის ფეხუნებს“ უწოდებდნენ. თუ ჟღერადობის გასაძლიერებლად ტყავის გადაჭიმვა უნდოდათ, ქილებს მაყალზე ათბობდნენ, მოსაშვებად კი ტყავებს ოდნავ ასველებდნენ.

დიპლიპიტო სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი. ძველად მას ნაღარა ერქვა. თუმცა, სულხან-საბა ორბელიანის თქმით, „ნაღარა სხვათა ენაა, ქართულად სამვიკი ანუ დუმბული ჰქვია“. დუმბული ძველად საომარ საკრავს წარმოადგენდა, რომელსაც ნადირობის დროსაც იყენებდნენ. ამჟამად დიპლიპიტო სამუზეიმო ექსპონატადაა ქცეული.



დიპლიპიტო

ტრადიციული ქართული ინსტრუმენტული ანსამბლი ორი, სხვადასხვა ჯუფის საკრავისგან შედგება: ერთ-ერთი მათგანია



სიმებიანი ან ჩასაბერი, მეორე — დასარტყამი. ამ უკანასკნელის გაერთიანება რომელიმე საკრავთან ხდება საცეკვაო მელოდიების შესრულებისას. ფაქტობრივად, ინსტრუმენტული ანსამბლის რეპერტუარს ხომ საცეკვაო მელოდიები შეადგენენ. ჩონგურისა და დოლის გაერთიანება ანსამბლად დასტურდება აჭარაში; კახეთსა და თუშეთში სცოდნიათ დაირისა და ფანდურის გაერთიანება, სამეგრელოში — ლარჭემისა და დაირის. ჩასაბერი საკრავებიდან, დოლთან ერთად, ანსამბლად ერთიანდება ჭიბონი. ასეთი ანსამბლი აჭარაში გვხვდება.

ქართული ინსტრუმენტული ანსამბლის პროტოტიპად უნდა ჩაითვალოს ე.წ. „ტაშ-ფანდურა“, რომელიც წარმოადგენს „ინსტრუმენტულ ანსამბლს“ სიმებიანი (ფანდური) და დასარტყამი (ტაში) საკრავების შემადგენლობით.

ქართული ინსტრუმენტული ანსამბლები მცირერიცხოვანია. მისთვის უცხოა ერთზე მეტი ერთიდაიმავე საკრავის გაერთიანება. მის ერთ-ერთ წევრს აუცილებლად დასარტყამი საკრავი უნდა წარმოადგენდეს.

*მასალა დამუშავებულია მაკა ხარბიანის მიერ*

**მანანა შილაკაძის ნაშრომზე —**

„ტრადიციული სამუსიკო საკრავები და ქართული ჩრდილოკავკასიური ეთნოკულტურული ურთიერთობანი“ — *დაყრდნობით*

*ეთნოგრაფიული წერილები*

## შრომის სიმღერები გურიაში

(ნაწილი III)

### ა-გიდელა და აგუნა

ა-გიდელას და აგუნას ღვინის კულტის — ბახუსის საპატივცემულოდ მღეროდნენ. ეს ორივე სიმღერა ერთმანეთს ენათესავება. ა-გიდელა შრომის სიმღერაა, აგუნა კი საახალწლო და ღვინის დედის — ყურძნის — სიუხვის.

50-60 წლის წინათ, მთელ გურიაში, შავი ზღვისპირიდან თავსურებამდე პრიმიტიულად გაშენებული მაღლარი ვენახის ბაღი იყო. ვენახის გაშენებას არ სჭირდებოდა დიდი შრომა და ოსტატობა, გურული თოხით ან ბარით ხეს ძირში ამოუჩიქნიდა ვაზის დასაფარავ მიწას, წაქცეულად — წაფერდებულად „ჩააკეტებდა“ შიგ ვაზის ლერწს და ცალი ფეხით მიწას მიატკეპნიდა. ასე მირგული ვაზი მესამე წელიწადს ნაყოფს ისხამდა. მერმე მასზე გაწეული შრომა იყო მხოლოდ მოკრეფა და ღვინის დაყენება, ჭურში ჩასხმა, ამოღება და დაღევა... 5-6 წელიწადში ერთხელ თუ წალდს წააკარებდა, შესხლავდა და ძველ ვაზს გადამაგინება-გადაწვენით გაახლებდა, კარგ მევენახედ და გულ-შემჭირნედ ითვლებოდა. ვენახების მეტი წილი ასეთ „მზრუნველობას“ მოკლებული იყო, მაგრამ მაინც უხვად ისხამდა. ახლაც არიან იმისი მომსწრე მოხუცები, რომ წინა წლის ჩხავერს ღვრიდნენ და ჭურში ახალს ასხამდნენ. ისეთი სიუხვე ყოფილა, ღვინოს რომ ფასი არ ჰქონია და თვითონ დასახარჯად ვერ მორევიათ. მართალია, წინათ არ ლოთობდნენ, მაგრამ ღვინო მაინც ბევრი უნდოდათ, რადგან უღვინოდ არამცთუ იჯრას, არამედ „ხეფსსაც“ არ მიირთმევდნენ. ყანის მუშას საიჯრო ღვინო მუდამ თან მიჰქონდა. ერთი სიტყვით, გურულს თუ ღვინო ჭურში ეგულებოდა, სტუმრის არამცთუ ეშინოდა, პირიქით, ეძებდა კიდეც. ღვინო იყო მისი მასახელებელი, უღვინობა — „მომჯაყველი“.

ღვინის დასაყოლებელს ყოველთვის იმოვი-  
დნენ. კაი მასპინძლობა ჰქონდაო რომ იტყო-  
დნენ, ამას მეორე დაურთავდა: მასპინძელი რა  
შუაშია, ღვინო იყო კაი მასპინძელიო.

გურულს „მონათლულობით“, ე.ი. ქრის-  
ტიანობით თავი მოსწონდა — ღვინო კი ქრის-  
ტიანობის ემბლემა იყო. ქრისტიანს ღვინო  
უნდა დაეღვინა და გურულის თქმით, ვინც  
ღვინოს არ სვამდა, უნათლავი იყო. ღვინო იყო  
ზედაში და ზიარება, ორივე კი — ქრის-  
ტიანობის ბურჯი. რომ ვინმე გარდაიცვ-  
ლებოდა — ჭირისუფალი თუ კარგ ზედაშეს  
გაყოლებდა, მიცვალებული „ცხონდებოდა“,  
კაი ზედაში გაყვავო, იტყოდნენ. ამიტომ  
ზედაშის მოყვარული მოხუცი თავის საზე-  
დაში ღვინოს სიცოცხლეში იმარაგებდა —  
ჩემს ტირილზე დახარჯეთო, ანდერძს ტო-  
ვებდა.

რაკი ღვინის ასეთი პატივისმცემლები  
იყვნენ, ამის შემდეგ არაფერია გასაკვირი, თუ  
ვიტყვით, რომ ძველ გურულს ჭურები მარანში  
განკუთვნილი, გაპიროვნებული და დაგეგმი-  
ლი ჰქონდა — იცოდა რომელი ჭური როდის  
მოეთხარა (მოეხადა):



აპოლონ ჩელაძე

საიჯრო ჭურში ყოველდღიურად სა-  
ხარჯო, ულუფის, სუფრის ღვინო ჰქონდა.

საკალანდოს ახალ წელს მოხდიდა მხო-  
ლოდ. უნდა ყოფილიყო საუკეთესო „თეთრად  
გამოღებული“ ღვინო, მაგარი — ცეცხლი უნდა  
შეყოლოდა.

სადედაღვთისოს 8 სექტემბერს, ღვთის-  
მშობლობას მოხდიდა.

სადმართო — საუფლისწულო დღესასწა-  
ულებში იხარჯებოდა.

საეტლოს — საეტლო წირვის დროს მო-  
ხდიდა. ყველა ოჯახის წევრს უნდა გადაეხადა  
ეს წირვა სიცოცხლეში ერთხელ. ამისათვის მას  
თავზე შემოატარებდნენ ცხვარს, რომელიც  
უნდა დაეკლათ. ვინც ამას შეასრულებდა, „ეტ-  
ლგადახდილი“ იყო, „ეტლმოუხდელი“ კი  
შეიძლება რაიმე ავადმყოფობით ან მარცხით  
მომკვდარიყო.

იყო საუცოდინარო ჭურიც. ფანატისკოსი  
მორწმუნე ხუცესს აწირვინებდა და ღმერთს  
სთხოვდა, ყველა ის ცოდვა შემინდე, რაც  
ჩამიდენია და არ ვიცის — ჩემი უცო-  
დინრობით მომსვლიაო.

საგიორგობო, საფერისცვალებო, სამთა-  
ვარანგელოზო, საღვთისმშობლო ან სხვ. ჭური  
ატარებდა იმ წმინდანის სახელს, რასაც ატა-  
რებდა ის ეკლესია, რომლის მრევლიც იყო ჭუ-  
რის პატრონი.

როგორც საკურთხეველში ეკრძალებო-  
და ქალს შესვლა, ასევე ეკრძალებოდა მას  
მარანზე მისვლა და ჭურიდან ღვინის ამოღება.  
თუ მასპინძელი კაცი შინ არ იყო, ან უკაცო  
ოჯახი გახლდათ, მაშინ მეზობელს სთხოვ-  
დნენ, ღვინო ამოგვიღეო. მარანს მუდამ სიწ-  
მინდით უვლიდნენ... შემთხვევით ჭურის თა-  
ვზე რომ ღორს გაევლო, ხუცესს მოიყვანდნენ  
და აიაზმას მოასხურებდნენ. ღვინოს იღე-  
ბდნენ სიწმინდითა და სასოებით, კრძალვითა  
და რიდით.

ცხადია, პირველი ჭიქით ყოველთვის  
ღმერთი უნდა ეხსენებინათ და თავშიშველ  
ოჯახის უფროსს სასოებით უნდა წარმოეთქვა:  
დიდება ღმერთსა, ღმერთო დიდება, შენ, ღმე-  
რთმა ყველას გაგიმარჯოს. ახლად ენაამო-

დგმული ბავშვის პირველი გაკვეთილიც ეს იყო. და ვინც ამას ვერ შეისწავლიდა, ღვინოსაც არ დააღვინებდნენ — იტყოდნენ ჯერ დალოცვაც არ იცისო, რაც ასაკისა და უნიჭობის გამომხატველად ითვლებოდა.

გურული ღვინის კულტის ფანატიკური მიმდევარი იყო და ყოველ ჟამს ცდილობდა, ღვინის ღმერთი მადლიერი ჰყოლოდა. ეს მისი პატივისცემა, ალბათ, სიმღერთაც გამოხატა. ეს სიმღერა არის ა-გიდელა და აგუნა.

**ა-გიდელა** რთვლის სიმღერაა — გური-აში რთველს „სტველს“ ეძახიან (ზოგან — სთველს). რთველი იწყებოდა კრეფა-ტეხის შემდეგ. მალღარი და განსაკუთრებით ყველაზე მეტად განთქმული ჩხავერი, დათრთვილვის შემდეგ უნდა მოკრეფილიყო. რადგან მსუბუქი ყინვა უფრო დაატკობდა ნაყოფს. ყურძნის კრეფა დიდი სახალისო იყო — დიდსა და პატარას, ასაკისა და სქესის შესაფერისი საქმე უჩნდებოდა და ყველა დიდი ხალისით და მონდომებით აკეთებდა მას.

განსაკუთრებით მხიარულობდნენ ბავშვები. იცოდნენ რომ ფელამუშს მოადუღებდნენ, ჯანჯუხას ამოავლებდნენ. ისინი მსუნაგი თვალით შესცქეროდნენ ცხელ ფელამუშში ამოვლებულ ჩურჩხელებს, ფელამუშის წვეთები რომ ჩამოსდიოდა. 9-12 წლის ბიჭებს ისიც უხაროდათ, რომ ყურძნის კრეფაში ისინიც მიიღებდნენ მონაწილეობას — ხეზე გასვლა და ყურძნის კრეფა თუ არ შეეძლოთ, გიდელს ხომ მაინც გამოუცვლიდნენ. მკრეფავი სავსე გიდელს ზევიდან რომ ჩამოუშვებდა თოკით, მხიარული და ომახიანი ხმით — სიმღერის კილოზე გადმოიძახებდა „ა-გიდელაო“... გიდელის გამომცვლელი ყურმახვილად იყო — ცარიელი გიდელით იქით გაეშურებოდა, საიდანაც ხმა მოესმოდა, სავსე გიდელს თოკს მოაშორებდა, ცარიელს დაუკიდებდა და ასძახებდა „მშვიდობით ჩამოდიო“. გიდელს მკრეფავთ შორის შუა ადგილას გოდორში „ჩაცლიდა“.

ყურძნის კრეფას წინ უძღვოდა სხვადასხვაგვარი სამუშაო და სამზადისი. მზად უნდა ჰქონოდათ საწნახელი, ჭურები, ჭურის სარეცხი ხელსაწყოები. მზად უნდა ჰქონოდა აგრეთვე „ორწუბი“ — საწნახლიდან მაჭრის ამოსაღები და ლაპოტი — ხიდან გამოთლილი ტარიანი ჯამის მაგვარი ჭურჭელი, რომლითაც საწნახელში ჩამდგარ მაჭარს „ამოხაპავდნენ“.

ამრიგად, როცა ყველაფერი მზად იყო, ყურძნის კრეფაც გაჩაღდებოდა, თითქოს შეპირებული არიანო. კრეფას ერთსა და იმავე დღეს იწყებდნენ. მართალია, ყველა თავის მამულს კრეფდა, მაგრამ რაკი ეს მამულები ერთიმეორეზე იყო მიჯრილი, ყურძნის კრეფაც ნადისებური — კოლექტიური იყო. ერთიმეორეს ხედავდნენ, ეხმაურებოდნენ, სიმღერა-ხუმრობა-ლაზღანდარობა-შაირობაში ეჯიბრებოდნენ. გურული რომ სავსე გიდელს გადმოუშვებდა და მხიარული სიმღერით გადმოიძახებდა ა-ა-ა-გიდელაა-იო! მას მყის აყვებოდა მეზობლად მკრეფავი, იმას კიდევ სხვა აყვებოდა და ამრიგად, მთელი სისწრაფით გადამღერება და გადაკვიჩნება თავსურებამდე ავიდოდა...

ა-ა-ა-გიდელაა-იო... ზედიზედ ტკბილ მუსიკად გაისმოდა ყველგან. თუ ზოგჯერ ა-გიდელას სიმღერა შეწყდებოდა, სამაგიეროდ — სხვა გასართობი იწყებოდა. ეს იყო ერთი სოფლის მეორე სოფელთან გამაირება.

ნადი ყურძნის საკრეფშიც იცოდნენ. მას თვით მასპინძელი მოიწვევდა, ან სხვას დაავალებდა — შემაწიეო. ხშირად ნადს მეორე და მესამე სოფლიდან მოიყვანდნენ (30-60 კაცს ან მეტს). ცხადია, ნადის დროს მეტი მხიარულება იყო. მუშაობას სისხამ დილაზე იწყებდნენ და მზის ჩასვლამდე არც ხელს ასვენებდნენ და არც ყბას. გურიაში ყბის არ მოსვენება მარტო ჭამას კი არ ნიშნავს, არამედ სიმღერას და მარილიან ოხუნჯობას...

**აგუნა.** გურულისათვის ყველაზე მეტად „ბედობა“ დღე გახლავთ კალანდა — ახალი წელი. ძველად გურული ღრმად იყო დარწ-

მუნებულო, რომ კალანდას რასაც ისურვებდა, იმითი მთელ წელიწადს, მეორე კალანდამდე უზრუნველი იქნებოდა. ამიტომ შუალამიდან იწყებდა სურვილების „გოდრით დადგმას“, მთელი დღე სურვილ-ნატვრით იყო გადაქცეული და ეს გრძელდებოდა 6 დღე მაინც — „ნათლიღებამდე“...

ამ სურვილების გამოთქმას ოჯახის წევრები იწყებდნენ ალიონზე — დალოცვისას, სადილზე და ბინდისას — აგუნას გადაძახების დროს.

აღსანიშნავია, რომ მუდამ სტუმრისა და „ჯარიანობის“ მოყვარე გურული, კალანდა დღეს მეზობლებს მოწყდებოდა. ამ დღეს ის სასტიკად იცავდა ოჯახურ კარჩაკეტილობას, ალბათ, მისი რწმენით, ამით კერძო საკუთრების განმტკიცებას უწყობდა ხელს... კალანდას ყველაფერი ინდივიდუალური — ოჯახური იყო, ნატვრა და სურვილი მხოლოდ და მხოლოდ ოჯახს ეხებოდა — ეზოს არ გასცილდებოდა.

დაბინდებისას მამრობითი სქესის ოჯახის წევრები — დიდი და პატარა — მარანზე მიიტანდნენ გობს, რომელზედც ეწყო ღორის თავი, სააგუნე ხაჭაპური და ერთი დოქი ღვინო. ოჯახის უფროსი შუა მარანში, ჭურის თავზე გობს დადგამდა, სამ ღერ წმინდა სანთელს გობის სხვადასხვა კუთხეში მიამაგრებდა და მოუკიდებდა, გობს სამჯერ წაღმა შემოატრიალებდა და ღმერთს ხმამაღლა შესთხოვდა — „მშვიდობის წელიწადი გაუთენოს მის ოჯახს, მისცეს უხვი მოსავალი ღვინის და ყოველგვარი ნამუშიერის“... სასმისით დაღევდა ღვინოს, ზედ დააყოლებდა ხაჭაპურსა და ღორის თავიდან ჩამონათალ ერთ ლუკმას. სასმისს უფროსობის კვალობაზე სხვას გადასცემდა, თითოეული დალოცვის შემდეგ ღვინოს გადაკრავდა და სხვას გადასცემდა. დანაყრების შემდეგ იწყებოდა აგუნას გადაძახება — აგუნას სიმღერა. მიდიან საწნა-

ხელთან, ყველას ხელში აქვს ან კომბალი — ყურძნის ჩასაწყლეტი ურო, ცული, ნაჯახი, ან მოკლე, მაგრამ მსხვილი „ტუკი“. საწნახლის გარშემო ჩაირაზმებიან და მოიმარჯვებენ „იარაღს“. გადამძახებელი, ძლიერ ხმამაღლა მღერის: „აგუნა, აგუნა გადმეიარე — ბახვი, ასკანა გადმოიარეე...“ დანარჩენები ბანს შესძახებდნენ: „ხო-ხო-ხო-ხო-ხო-იო“. და რიტმულად ურახუნებდნენ საწნახელს...

გადამძახებელი განაგრძობს: „ჩვენს მამულში ყურძენიო, მტრის მამულში ფურცელიო!“ ბანები: „ხო-ხო-ხო-ხო და იო-იო!“ გადამძახებელი: „ჩვენს ქალებს ჩერია — კვირისთავიო, მტრის ქალებს „ჩხირი“ და ვირის თავიო.“ ბანებიც უბანებდნენ.

გადამძახებელი ზურგზე მოიკიდებს პატარა ვაჟს, ჩამოეკიდება ხელით ვაზს (ამით მან ისურვა, ვაზსაც ისეთივე მძიმე მტევნები მოესხა, როგორც მას ჰკიდა ზურგზე) და გადასძახებს გადაიმღერებს: „ჩვენს მამულში გოდორ-გოდორიო, მტრის მამულში კიმპალ, კიმპალიო.“ ბანებიც უდასტურებდნენ.

ეს სიმღერა-გადაძახება თითქმის ერთი საათი გრძელდებოდა — მთელი კუთხე-მიდამო, მთელი გურია, აგუნას განგაშით იყო მოცული. ახლო მეზობლები სიმღერას ერთიმეორეს აცლიდნენ, ერთმეორეს ყურს უგდებდნენ — ერთი რომ ერთ მუხლს იმღერებდა — მეორეს იმღერებდა მეზობელი. ამრიგად, სიმღერა, რახუნი, ბანი რიტმული და ჰარმონიული გახლდათ.

*მასალა აღებულია  
აპოლონ წულამისწიგნიდან  
„ეთნოგრაფიული გურია“  
(თბილისი. „საბჭოთა საქართველო“, 1971)*



აგუნა

ა - გუ - ნა ა - გუ - ნა გად - მე - ია - რე - - - ო - ჰო - ჰო - ო  
a - gu - na a - gu - na gad - me - ia - re - - - o - ho - ho - o

ბახ - ვი და ას - კა - ნა გად - მე - ია - რე - - - ო - ჰო - ჰო - ო  
bax - vi da as - ka - na gad - me - ia - re - - - o - ho - ho - o

ნვენს ე - ზო - ში ყურ - ძე - ნი - - - ო ო - ჰო - ჰო - ო  
Cvens e - zo - Si yur - Ze - ni - - - o o - ho - ho - o

სხვის ე - ზო - ში ყურ - ცე - ლი - - - ო ო - ჰო - ჰო - ო  
sxvis e - zo - Si fur - ce - li - - - o o - ho - ho - o

რედაქტორი:

მაკა ხარძიანი

*ეთნომუსიკოლოგი, მუსიკოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,  
ტმკსც-ის სპეციალისტი*

მთარგმნელი:

მაია კაჭკაჭიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

მაკა ხარძიანი

ლევან ვეშაპიძე

© ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2020

eISSN-1512 –228X

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი, 0108,  
გრიბოედოვის ქ. #8/10

ტელ. (+995 32) 2998953

E-mail: [polyphony@tsc.edu.ge](mailto:polyphony@tsc.edu.ge)

[www.polyphony.ge](http://www.polyphony.ge)

[www.symposium.polyphony.ge](http://www.symposium.polyphony.ge)

ბიულეტენის შემდეგი ნომერი გამოვა 2020 წლის დეკემბერში